საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი, 1 ნოემბერი. 2018 წ. №219 (8620) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრის გაფანა ყვეოა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ჯოჯოხეთს მოგიწყობთო, SOS! და მოაწყო კიდეც!... SOS!

„ოცნების“ მიერ უამრავი წინასაარჩევნო დაპირებიდან ხალხი უწინარესად სამართლიანობის აღდგენას ითხოვდა და ითხოვს, რაც სოციალურ მოთხოვნილებათაგან განსხვავებით, არავითარ ეკონომიკურ ხარჯთან არ არის დაკავშირებული.

„ოცნებამ“ კი სრული სამართლიანობის აღდგენის ნაცვლად ეგრეთ წოდებული „კოჰაბიტაციის“ ბრჭყალებში მოიქცია თავი და ოპოზიციად წოდებულ აშკარად მავნებლურ ძალასთან თანაარსებობა გადაწყვიტა, რასაც ხელისუფლების პოლიტიკურ-იდეოლოგიური მოდუნება მოჰყვა და 2012 წელს სრულიად სამართლიანად ხელისუფლებადაკარგულმა ნაციონალებმა უმალ თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს ეს მოდუნება, უმალ უნიათო და უუნარო ხელისუფლებად მონათლეს „ოცნება“ და ხელისუფლების კრიჭაში დგომით ხელისუფლებაში მოსაბრუნებლად გააჩაღეს სამკვიდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. სამ ფრონტად დაშლილმა სააკაშვილისტებმა უპირველეს მიზნად კი დაისახეს ხალხის თვალში „ოცნების“ გაბიაბრუება, ხალხისავე იმედგაცრუება, რასაც გარკვეულწილად მიაღწიეს კიდეც თავიანთი იდეოლოგიური იარაღის – მთავარ არხად წოდებული თვითმარქვია „ცრუსთავი-2“-ის საშუალებით.

ეს ის კანონიერი მფლობელისთვის სააკაშვილისაგან ყაჩაღურად წართმეული „ცრუსთავი-2“-ია, რომელიც თითქმის ორი წლის წინათ ქართულმა მართლმსაჯულებამ თავისი სამი ინსტანციით კანონიერ პატრონს დაუბრუნა, მაგრამ ნაციონალებმა თავიანთი „ევროპული ავტორიტეტით“ სტრასბურგის სასამართლოს დღემდე შეაჩერებინეს, ხოლო „ოცნებამ“ მთელი ამ ხნის მანძილზე ვერც „ჰო“ ათქმევინა და ვერც „არა“ საეჭვოდ „გაჯიუტებულ“ სტრასბურგს.

ამის შემდეგ განა ჩვენ სუვერენული, ანუ დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყანა გვეთქმის?!

„ოცნებამ“ ვერც მაშინ გააფაციცა ყურადღება, როცა ამ ნაყაჩაღარი „მთავარი არხის“ ეგრეთ წოდებულმა გენერალურმა ამირსპასალარმა, სააკაშვილის ხელისბიჭმა საბედისწერო მუქარა თავხედურად საქვეყნოდ გაახმიანა – ჯოჯოხეთს მოგიწყობთო, და მოაწყო კიდეც...

აგერ ახლა, 28 ოქტომბერს, უკეთესი მომავლისთვის თვალგასწორებული ხალხი სწორედ ამ უტიფარი მუქარის მწარე შედეგის მოწმენი გავხდით.

მეორე ტურის ბოლომდე დარჩენილ დროში „ოცნებას“ დიახაც რომ ამ ექვსი წლის მანძილზე განიორწყლებული ბრძოლის უნარის აღდგენა მოუწევს. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეს ვერ შეძლოს!

კიდევ კარგი, რომ ჯერჯერობით ცხრაწლიანი ჯოჯოხეთის მახსოვარი ამომრჩეველი მაინც სჭარბობს იმედგაცრუებულთ!

საქართველო DOING BUSINESS-ის რეიტინგში კიდევ უფრო დაწინაურდა

„მინდა, ყველას მივულოცო საქართველოს წარმატება და მოგაწოდოთ სასიხარულო ინფორმაცია, რომ მსოფლიო ბანკის Doing Business-ის რეიტინგში საქართველო დაწინაურდა და მე-9 პოზიციიდან მე-6 ადგილზე გადმოინაცვლა“, – განმარტა მამუკა ბახტაძემ. პრემიერის თქმით, აღნიშნული რეიტინგი ადასტურებს იმას, რომ რეფორმები, რომლებსაც მთავრობა ეკონომიკური მიმართულებით ახორციელებს, წარმატებულად ემსახურება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

„საქართველო უკვე არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე საიმედო ქვეყანა ბიზნესის კეთების თვალსაზრისით და ამ მხრივ არ ვაპირებთ მიღწეულით დაკმაყოფილებას“, – განმარტა მამუკა ბახტაძემ.

როგორც გუშინ პრემიერ-მინისტრმა სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის რეგიონულ დირექტორთან მერსი ტემბონსთან ერთად გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, ბიზნესის კეთების სიმარტივის კუთხით საქართველომ მე-9 პოზიციიდან მე-6 ადგილზე გადაინაცვლა.

ქახა კალაძე: 2

ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ მეორე ტურში დიდი ანგარიშით!..

100 წლის გაზეთი თქვენს დახმარებას ითხოვს

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ქაღალდისა და ბეჭდვის ფასების ზრდის გამო ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).

კახა კალაძე: ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ მეორე ტურში დიდი ანგარიშით!..

ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ განაცხადა. მისი თქმით, საპრეზიდენტო არჩევნებზე 2012 წლის შემდეგ ყველაზე დიდი აგრესიული კამპანია დაფიქსირდა, რომელიც მიმართული იყო სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ და ამ ფონზე ზურაბიშვილმა მაინც შეძლო პირველ ადგილზე გასვლა.

„ჩვენ მოვიგეთ პირველი ტური და მინდა, ქალბატონ სალომეს მივულოცო პირველ ადგილზე გასვლა. რაც შეეხება მეორე ტურს, ველოდებით ცესკოს გადაწყვეტილებას და ქართველ ხალხთან ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ ძალიან დიდი ანგარიშით“, — განაცხადა კახა კალაძემ.

„ქართული ოცნება“ რუსული მენტალიტეტის „მატრიოშკას“ გაპრეზიდენტებას არ დაუშვებს!

„ქართული ოცნება“ არ დაუშვებს რუსული მენტალიტეტის „მატრიოშკას“ გაპრეზიდენტებას, რომლის შიგნით სააკაშვილი ზის, იმის შიგნით მერაბიშვილი და კიდევ შიგნით სხვადასხვა კალიბრის დამნაშავეები სხედან, — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლეობის წევრმა ნუკრი ქანთარიამ პლენარულ სხდომაზე განაცხადა.

მისი თქმით, დღეს, როდესაც საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურზე ქვეყანას ხიფათი უახლოვდება და სააკაშვილის ნაცვალი, რომელსაც რუსული პასპორტი გულში აქვს დამარხული, მათ მხარდაჭერილ კანდიდატს ფეხდაფეხ მიჰყვება, ყველა წყენა უნდა გადაიდოს. ქანთარიამ მმართველი გუნდის ამომრჩეველს სრული მობილიზაციისკენ მოუწოდა.

—მინდა, მოკრძალებით და ყოველგვარი მითქმა-მოთქმის გარეშე მივმართო საქართველოს მოქალაქეებს — განსაკუთრენით მათ, ვინც ძალიან დიდი წვლილი შეიტანეს 2012 წლის გამარჯვებაში, იმ თანამებრძოლებს, ვინც 2012 წლამდე იდგნენ სიცივეში, ყინვაში, ხვდებოდათ ხელკეტები, რეზინის ტყვიები და 28 ოქტომბრის არჩევნებში არ მოვიდნენ და განზე დადგნენ. მესმის, მათი გარკვეული მიზეზები. ზოგს ალბათ ეგონა, რომ პირველივე ტურში მოხდებოდა სრული გამარჯვება, მაგრამ უმთავრესი მიზეზი უსამართლობის შეგრძნება, წყენის დაგროვება და გულის გატეხვა იყო. ამაში ჩვენს თანამებრძოლებთან აბსოლუტურად თანაზიარი ვარ“, — განაცხადა ნუკრი ქანთარიამ.

შალვა ნათელაშვილი: შეიკრიბონ საგანგებო სესიაზე და გამოაცხადონ თვითდაშლა!

„ლეიბორისტული პარტიის“ საპრეზიდენტო კანდიდატი ხელისუფლებას მოუწოდებს, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გამოაცხადოს. მისი თქმით, იმ ფონზე, როდესაც ხდებოდა ამომრჩევლის მასობრივი მოსყიდვა, მოქალაქეების დიდმა ნაწილმა მხარი დაუჭირა ოპოზიციას. მან ამომრჩეველს მადლობა გადაუხადა.

„შეიკრიბონ საგანგებო სესიაზე და გამოაცხადონ თვითდაშლა. დღეს არ არის იმის დრო, ვიწუწუნოთ იმაზე, ვინ რომელ ადგილზე მოხვდა. მთავარი ისტორიული პრეცედენტი დაიწყო. ხალხი თვითონ შეუდგა ივანიშვილის კორუმპირებული ძირგამომპალი ნარკორეჟიმის შეცვლას. მთავარია, ახლა ეს პროცესი გაგრძელდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებით და ეროვნული თანხმობის ერთიანი მრავალპარტიული კოალიციური მთავრობის შექმნით და ეს იქნება უკვე ნამდვილი გადარჩენა ჩვენი ქვეყნისა“, — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

გოჩა ფიფია: დავკეტავთ ოფისებს... გავიშლებით თბილისსა და რეგიონებში...

ალკოჰოლური სასმელების კომპანია ნაცების წინააღმდეგ

ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი კომპანია **„ზეარისი“ არჩევნების მეორე ტურისთვის რეგიონებში გასვლას და საზოგადოებასთან შეხვედრას გეგმავს.** კომპანიის დამფუძნებელი გოჩა ფიფია აცხადებს, რომ მათი მთავარი მიზანია არჩევნების მეორე ტურში, ოპოზიციის კანდიდატმა გრიგოლ ვაშაძემ არ გაიმარჯვოს.

„კომპანიის თანამშრომელთა დიდი ნაწილი, რომელიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან არის ჩამოსული, საქართველოს რეგიონებში გაიშლებიან და ახსნა-განმარტებით სამუშაოებს ჩაატარებენ, თუ რატომ არის დაუშვებელი ქვეყანაში იმ რეჟიმის დაბრუნება, რომელიც ქართველ ხალხს ფიზიკურ განადგურებას უქადის. დროებით დავკეტავთ ჩვენს ოფისებს. იმუშავებენ მხოლოდ მორიგე მენეჯერები. დანარჩენები კი გავიშლებით თბილისსა და საქართველოს ყველა რეგიონში და არა მხოლოდ მივიღებთ მონაწილეობას არჩევნებში, არამედ ვაწარმოებთ ახსნა-განმარტებით სამუშაოებსაც, რათა განვუმარტოთ ადამიანებს განსხვავებები დანაშაულსა და შეცდომას, ბოროტებასა და სიკეთეს, ნაცისტურ აზროვნებასა და დაუდევრობას, გამოუცდელობას შორის“, — აცხადებს გოჩა ფიფია.

ახალქალაქში დაზარალებულები პოლიციასთან არ თანამშრომლობენ

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნათია მეზვრიშვილმა ახალქალაქში მომხდარ ინციდენტზე ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა.

მისი განცხადებით, დაზარალებულები არ თანამშრომლობენ გამოძიებასთან, თუმცა ამის მიუხედავად ტარდება საგამოძიებო მოქმედებები და მტკიცებულებების მოპოვებისთანავე, დამნაშავე პირების მიმართ დადგება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

„რაც შეეხება ახალქალაქის ინციდენტს, ყოველგვარი ძალადობა, ვისი მხრიდანაც არ უნდა იყოს ეს ძალადობა განხორციელებული, არის მიუღებელი. თუმცა, ამავდროულად მიუღებელია, რაც მე მოვისმინე რამდენიმე განცხადება ამ საქმესთან დაკავშირებით. ულტიმატუმებით საუბარი საგამოძიებო ორგანოსთან და რაღაც ვადების დაწესება, რომ თუ ვთქვათ, 24 საათში, თუ 48 საათში, ეს საქმე არ იქნება გამოძიებული და ა.შ. გამოძიებას აქვს თავისი პროცედურები იმისთვის, რომ სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში კონკრეტული პირები მიეცნენ, ამისთვის საჭიროა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება. ამ საგამოძიებო მოქმედებებს სჭირდება დრო და გაწერილია შესაბამისი პროცედურები, რომელთა დაცვითაც ეს ყველაფერი უნდა ჩავატაროთ. მიუღებელია ასეთი განცხადებები იმ პირობებში, როდესაც დაზარალებულები არ თანამშრომლობენ. არ თანამშრომლობენ, არ ცხადდებიან გამომძიებელთა მიერ მითითებულ დროს, თუმცა მიუხედავად ამისა დავუცდით ჩვენ, როცა სურვილი ექნებათ, მობრძანდებიან, გამოვკითხავთ და შესაბამის გადაწყვეტილებას მივიღებთ. დღეის მდგომარეობით არჩევნებთან დაკავშირებულ ინციდენტზე 15 პირია პასუხისგებაში მიცემული. როგორც უმრავლესობის, ასევე ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები. შესაბამისად დანაშაული თუ დადგინდება, მივიღებთ შესაბამის გადაწყვეტილებას. ყველა, ვისაც საქმესთან შემხებლობა აქვს და რაიმე ტიპის ინფორმაციას ფლობს, ვალდებულია, რომ ინფორმაცია მიაწოდოს საგამოძიებო ორგანოს. გამოიკითხებიან ეს პირები, თუმცა, მხოლოდ გამოკითხვებს არ ველოდებით, მათზე არ ვართ დამოკიდებულები. სხვა შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებებიც ტარდება, რომლებმაც უნდა მიგვიყვანოს უკვე კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხამდე. ბუნებრივია, მხარეები ერთმანეთს ბრალდებებს უყენებენ, თუმცა ამას გამოძიება დაადგენს მას შემდეგ, რაც გამოიკითხებიან პირები. როდესაც ჩვენ უკვე კონკრეტული ინფორმაციები გვექნება, ისევე მოვახდენთ საზოგადოების ინფორმირებას, როგორც სხვა შემთხვევებში“, — განაცხადა ნათია მეზვრიშვილმა.

ბაჩო ახალაია: მე არ ვაპირებ, ბატონ გრიგოლ ვაშაძეს შეწყალების თხოვნით მივმართო

სიმართლის თქმას არაფერი უდგას წინ, 2012 წელს მე თვითონ წავედი ციხეში, „ქართულმა ოცნებამ“ 9 წელი მომისაჯა, მე-7 წელია, ვიხდი სრულიად უსამართლო სასჯელს, მაგრამ დღესაც, ისევე როგორც 2012 წელს, იმისათვის რომ ჩემი არსებობა არ გახდეს საერთო ეროვნული მიზნების მიღწევაში რამე დაბრკოლება, მინდა საჯაროდ ვთქვა მე არ ვაპირებ, მივმართო ბატონ გრიგოლ ვაშაძეს შეწყალების თხოვნით, ჩემი მისდამი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად არ ვთვლი, რომ ამხელა უსამართლო სასჯელის მოხდის მიწურულს რამე შეწყალება მჭირდებოდეს, — ამის შესახებ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელის ბაჩო ახალაიას მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.

„მინდა, ორიოდე სიტყვით მივმართო როგორც გაერთიანებული ოპოზიციის, ასევე „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს. მიუხედავად იმისა, რომ სრულებითაც არ ვთვლი თავს ისეთ მნიშვნელოვან პერსონად, რომელზეც შეიძლება რამე იყოს დამოკიდებული დღევანდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში, ჩემი სახელის გამოყენება მაინც ხდება ხელისუფლების ზოგიერთი უსინდისო წარმომადგენლის მხრიდან ჩემთვის სრულიად გაუგებარი ბინძური მიზნებით, ამიტომაც თავს ვალდებულად ვთვლი, რამდენიმე ჩემთვის სრულიად ბუნებრივ საკითხს საჯაროდ გავუსვა ხაზი და გამოვეხმაურო მედიაში გაჟღერებულ რამდენიმე მოსაზრებას.

უპირველეს ყოვლისა, ჩემთვის ჩემი პირადი თავისუფლება ნამდვილად არ არის იმ მნიშვნელობის, რომ ეპოქალურ პოლიტიკურ ბრძოლას ან დღეს ან ხვალ რამეში უშლიდეს ხელს. სიმართლის თქმას არაფერი უდგას წინ, 2012 წელს მე თვითონ წავედი ციხეში, „ქართულმა ოცნებამ“ 9 წელი მომისაჯა, მე-7 წელია, ვიხდი სრულიად უსამართლო სასჯელს, მაგრამ დღესაც, ისევე როგორც 2012 წელს, იმისათვის რომ ჩემი არსებობა არ გახდეს საერთო ეროვნული მიზნების მიღწევაში რამე დაბრკოლება, მინდა საჯაროდ ვთქვა, მე არ ვაპირებ, მივმართო ბატონ გრიგოლ ვაშაძეს შეწყალების თხოვნით, ჩემი მისდამი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად არ ვთვლი, რომ ამხელა უსამართლო სასჯელის მოხდის მიწურულს რამე შეწყალება მჭირდებოდეს.

საქართველოში დღეს მიმდინარე და ხვალ გასამართი პოლიტიკური ბრძოლები იმდენად დიდი ეპოქალური მნიშვნელობისაა, რომ ჩემი პირადი თავისუფლებაც არ მიღირს იმისთვის, თუნდაც მცირედი ხელშეშლის ან ხელშეშლის იმიტირებისთვის იქნას გამოყენებული. უსამართლო 9-წლიანი სასჯელიდან მე-7 წელიწადს რამენაირად შევძლებ, კიდევ 2-3 წელსაც გავუძლო.

გარდა ამისა, მინდა გასაგებად ავუხსნა, როგორც „ქართული ოცნების“, ისე გაერთიანებული ოპოზიციის მხარდამჭერებს, საქართველოში ხელისუფლების შეცვლა გარდაუვალი რეალობაა. ახალი ხელისუფლება არც დააპირებს, რამე სახელმწიფო სამსახური შემომთავაზოს, მაგრამ ასეთი საოცრება რომც მოხდეს, მე ჩემი მხრიდან არც არანაირი სურვილი არ მაქვს რამე სახელმწიფო სამსახურში მუშაობის.

ვითარება ძალიან მარტივია, ივანიშვილის რუსული რეჟიმის დასასრული იწყება. ერთადერთი რაც არის ხელშესაწყობად შესაძლებელი გავაკეთო სამწუხაროდ, ეს კვლავ ციხეში ჯდომაა. სამწუხაროდ, ჩემი როლი ასეთი აღმოჩნდა. იმედი მაქვს, ჩემსავით ფიქრობს ყველა ის ადამიანი, ვისთვისაც მთავარი საქართველოს ეროვნული ინტერესებია, ამიტომაც არის ივანიშვილის რეჟიმის პოლიტიკური მარცხი გარდაუვალი. დღეს საქართველოსთვის გასაწევი სამსახური როგორც ჩანს, ჩემთვის ასეთია“, — ნათქვამია ბაჩო ახალაიას განცხადებაში.

მომავლის ხამი,

ანუ უტიფართა ეკრანი

სიტყვა „ხამი“ (Хам) რუსულიდან ითარგმნება, როგორც „უტიფარი“, და ეს სიტყვა სათაურად — „მომავლის ხამი“, თავისი წერილების კრებულს წარუმძღვარა გამოჩენილმა რუსმა მწერალმა, პუბლიცისტმა და რელიგიურმა მოაზროვნემ დიმიტრი მერეჟკოვსკიმ.

ბოლშევიზმის შეურიგებელი მტერი დ. მერეჟკოვსკი „მომავლის ხამზე“ შემდეგ გაფრთხილებას იძლევა: „ერთის გეშინოდეთ — მონობისა და ყველა მონობაზე უარესის — მეშჩანობისა (მდაბიურებისა) და მეშჩანობას შორის უცუდესისა — ხამობისა“.

მწერლის ეს სიტყვები გამახსენდა, როდესაც „ტვ პირველის“ მიერ გადმოცემულ დებატებს ვუმზირე პოლიტიკურ თემაზე. პირდაპირ შემებრალა ჩემი მეგობარი, ისტორიკოსი გიორგი ოთხმეზური, რომელიც ორ თანამზრახველთან ერთად გაიძახოდა ერთადერთ ჭეშმარიტებას: **ნაცბანდა ხელისუფლებაში არ უნდა დაბრუნდეს!** ხოლო ირგვლივ, თითქოს გოიას „კაპრიჩოს“ ციკლიდან — „გონების ძილი ურჩხულებს შობს“ — გარშემორტყმულნი იყვნენ სიძულვილით გადაღმეჭილი სახეებით, რომლებსაც სისხლი სწყუროდათ. ამ ქაჯების შემოსევას არც დებატების წამყვანი ჩამორჩებოდა თავისი ფარისევლური, დათაფლული ხმით, რომელიც უპირატესად გ. ოთხმეზურის მოწინააღმდეგეებს ალაპარაკებდა. რა უნდა ექნა სამ კაცს ამ ხროვის წინააღმდეგ?! მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ყველა გონიერი მაყურებელი მცირერიცხოვანთა მხარეს იქნებოდა, რადგან ისინი ჭეშმარიტებას ღაღადებდნენ.

დიდად სამწუხაროდ, ასეთი უტიფრები და წამგლეჯები „მმართველ ელიტაშიც“ გვყოლიან! პრემიები, მანქანები, უმნიშვნელო „დავალებით“ ევროპასა და ამერიკაში „გრიალი“ და ა.შ., თუმცა, საგანგებოდ უნდა აღვნიშნო, რომ ეს მანკი „ნაცებს“ გაცილებიდ მეტად სჭირდათ და, რაც მთავარია, მათი ბატონობის პერიოდი სისხლით იყო გაჯერებული.

ამიტომ, ვაშაძე თუ ზურაბიშვილი — პატიოსანი კაცისთვის საკითხავი არც უნდა იყოს! ნაცების სახით საქართველოში ზნეობრივი ურჩხული დაისადგურებს.

არც დავით უსუფაშვილის პოზიცია მიმაჩნია დიდად ზნეობრივად — „ხმას არც ერთ კანდიდატს არ მივცემ!“ დალოცვილო, ცოლი მინისტრად რომ გესვას, მაშინ ხომ მისცემდი?

არ შეიძლება, ბოროტებამ იზეიმოს: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!“

ვიქტორ რცხილაძე

ეს მსოფლიო მნიშვნელობის მშენებლობაა!

დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ანაკლიის პორტში

ანაკლიის პორტის ტერიტორიას სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ეწვივნენ. საქართველოში მოქმედმა ელჩებმა და საელჩოს წარმომადგენლებმა, მათ შორის ნიდერლანდების სამეფოს, რუმინეთის, იაპონიის, თურქეთის, უკრაინის და პოლონეთის, ასევე გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელმა საქართველოში, ანაკლიის პორტის მიმდინარე მშენებლობა და ზღვის ფსკერიდან 5 მლნ კუბური მეტრი ქვიშის ამოტუმბვის მასშტაბური სამუშაოები მოინახულეს.

თიბისი ბანკის პრესსამსახურის ინფორმაციით, ელჩებს ანაკლიის პორტში პროექტის დამფუძნებელმა **მამუკა ხაზარაძემ** და პორტის მენეჯმენტმა უმასპინძლეს. სამუშაოებისა და მსოფლიოში უდიდესი დამაღრმავებელი გემის „ათენას“ მონახულების შემდეგ, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს ანაკლიის პორტის მენეჯმენტმა პროექტის მიმდინარეობა და სამომავლო გეგმები გააცნო.

იაპონიის ელჩი საქართველოში **ტადაჰარუ უეჰარა**:

„პირველად ვარ ანაკლიაში და ბედნიერი ვარ, რომ დეტალურად შევიტყვე ამ უნიკალური და საქართველოსთვის მნიშვნელოვანი პროექტის შესახებ. თუმცა, ვფიქრობ, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ საერთაშორისო საზოგადოებისთვის და მათ შორის იაპონიისთვის. მჯერა, რომ ჩვენ შორის სავაჭრო ურთიერთობები გაღრმავდება და იაპონია უფრო აქტიურად ჩაერთვება ამ პროექტში“.

ნიდერლანდების სამეფოს ელჩი საქართველოში **იოჰანეს დოუმა**:

„ანაკლიის პორტის ტერიტორიაზე უკვე მეხუთედ ვარ და ძალიან შთამბეჭდავია ეს პროგრესი, რაც პორტის მშენებლობამ გაიარა. დღეს ამაყი ვარ, რადგან ეს „ვან ოორდის“ გემი „ათენა“ ჩვენი გემია. მიხარია, რომ შეგვიძლია, მონაწილეობა მივიღოთ საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. ვიმედოვნებ, ამ პროცესში კიდევ უფრო მეტი ქვეყანა ჩაერთვება. სამომავლოდ კი ჩვენმა ქვეყანამ ანაკლიის პორტისგან სარგებელიც უნდა მიიღოს — ჩვენ ყველაზე დიდი პორტი გვაქვს და ერთმანეთის ღირსეული კონკურენტები ვიქნებით. ასევე, ერთად ვიმუშავებთ ლოგისტიკის განვითარებისთვის“.

რუმინეთის ელჩი საქართველოში რადუ ლივიუ ჰორუმბა: „ბედნიერი ვარ, რომ დღეს აქ ვარ და უკვე მეორედ ვსტუმრობ ახალი პორტის მშენებლობის პროცესს. ძალიან საინტერესოა მისი განვითარება, ის ტექნოლოგიები, რასაც მისთვის იყენებენ და პროექტის კონცეფცია. მიხარია, რომ საქართველოს პირველი ღრმაწყლოვანი პორტი ქვეყანაში რამდენიმე წელიწადში ამუშავდება“.

„ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ გენერალური დირექტორი **ლევან ახვლედიანი**:

„მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა ქვეყნის ელჩებმა დიდი ინტერესი გამოხატეს ანაკლიის პორტის მიმართ, რადგან ის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტია საქართველოსთვის, სატრანზიტო და ლოგისტიკური ჰაბის თვალსაზრისით. მნიშვნელოვანი შეხვედრები გვქონდა ელჩებთან, მათ დაათვალიერეს მშენებლობის პროგრესი და მიმდინარეობა, ეწვივნენ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ დამაღრმავებელი გემს, რომელიც ჩვენთან მუშაობს“.

ანაკლიის პორტის საზღვაო სამუშაოები ოცდაოთხსაათიან, უწყვეტ რეჟიმში გრძელდება. მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა დამაღრმავებელმა გემმა „ათენამ“ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის ტერიტორიაზე უკვე 4 მილიონამდე კუბური მეტრი ქვიშა ამოტუმბა და ხმელეთზე გადაიტანა. მიმდინარე სამუშოებში, მსოფლიოს წამყვან ჰოლანდიურ კომპანია „ვან ოორდის“ სპეციალისტებთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობაა ჩართული.

რეკლამაციასა და დაღრმავებასთან ერთად თითქმის დასრულდა „ვან ოორდის“ მიერ ჩამოტანილი თანამედროვე სტანდარტების, უახლესი ტექნოლოგიის სადრენაჟო სისტემების მონტაჟი, რომელთა ჯამური სიგრძე 2 436 510 მეტრს შეადგენს.

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მასშტაბური საზღვაო სამუშაოები 2018 წლის 16 სექტემბერს დაიწყო. პორტის პირველი ფაზის გახსნა და გემების მიღება 2020 წლის ბოლოდან იგეგმება.

COMMERSANT.GE

ღირს დაფიქრებად!

როგორ ავიცილოთ არეულობის საფრთხე? როგორც საქართველოს მრავალი მოქალაქე, მეც სავსებით ვიზიარებ პარლამენტის წევრის მოსაზრებას, რომ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მე-2 ტურში, თუ ვინიცობაა, გაიმარჯვა ე.წ. „ძალა ერთობაშია“-ს წარმომადგენელმა ვაშაძემ, შეიძლება სამოქალაქო ომი დაიწყოს. რამდენადაც არ არის გამორიცხული, რომ ახალი პრეზიდენტის მიერ შეწყალებულმა სააკაშვილმა, მერაბიშვილმა, ადეიშვილმა და მათმა მომხრეებმა მორიგი „რევოლუცია“ წამოიწყონ.

ხომ არ აჯობებს, რომ კონსტიტუციაში შეტანილ იქნეს შესწორება, რომ პრეზიდენტის მიერ შეწყალებულ მსჯავრდებულთა სიას ამტკიცებს პარლამენტი?! ამით თავიდან ავიცილებდით მოსალოდნელი არეულობის საფრთხეს.

არჩილ მანჯგალაძე

◎ ვივაჭროთ?!

საცალო და საბითუმო ქსელი ქართულ პოლიტიკაში

გაჩაღდა, მაგრამ რა გაჩაღდა — საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის ოფიციალური შედეგები ჯერ არ გამოქვეყნებულა, მეორე რაუნდში წარმატების მოსაპოვებლად კი მომხრეთა გადასაბირებლად ტოტალური მობილიზაციაა გამოცხადებული.

გაერთიანებული ოპოზიციის ქურქში გახვეული ნაციონალები და მათი სატელიტები იმედოვნებდნენ, რომ 28 ოქტომბრის ფაქტიური გამარჯვებული, სახელისუფლო კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი უპერსპექტივო ფინალისტობას საკუთარი ავტორიტეტის მოფრთხილებას ამჯობინებდა და ბრძოლის ველს დაუმარცხებლის მანტიით გაეცლებოდა, მაგრამ მწარედ მოტყუვდნენ — სავარაუდოდ, 2 დეკემბერს „ქართული ოცნების“ ფავორიტი მეტოქისთვის გადამწყვეტი დარტყმის მიყენებას აპირებს, რაც პირუთვნელად განაცხადა კიდეც საგანგებო ბრიფინგზე.

ზემოთ იყიდე-გაყიდეს თემა წამოვწიეთ და, მოდით, ბარემ აქვე გავხსნათ ფრჩხილები:

როცა მიშა-გრიშას მოტივები ვახსენეთ, ბუნებრივია, ის წვრილფეხობა ვიგულისხმეთ, ვისი ხმებიც ერთი თვის შემდეგ ეიმედებათ დროებითი წარმატებით გონებადაბინდულ „ვარდოსნებს“, ცესკოს ვერდიქტით წაგებულებმა მაინც რომ იზეიმეს ვითომ ტრიუმფი. თუმცა, ეს ხომ „მეცოცხეთა“ ძველი მეთოდია და 2008 წლის ომის შემდეგ განვითარებული მოვლენების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს, როცა რუსთაველზე, კაცმა არ იცის, მტრის რომელი დაჩოქების გამო გააჩაღეს როკვა და ტაშ-ფანდური.

რაც შეეხება ძირითად სათქმელს, ვაშაძეებმა და



კომპანიამ ერთი ამბავი ატეხეს, კეთილ დასასრულს ბევრი აღარაფერი გვაშორებსო. მაინც, ვის და რას ეფუძნება მათი ოპტიმიზმი?

უპირველესად, „ევროპულ საქართველოდ“ წოდებულ პოლიტიკურ ძალას, რომელიც მესაძირკვლეთაგან გამოყოფილად კი თვლის თავს, მაგრამ ნეტავ ვინმეს სჯერა მათი გაყრისა?

არანაკლებ საიმედო პარტნიორებად ცდილობენ წარმოჩენას რესპუბლიკელები, ნაფტალინწაყრილები რომ წამოაყენა ქვესკნელიდან ბიძინა ივანიშვილმა. თუმცა, საკითხავია, ვის დაფასებია ამაგი, მეტადრე ჩვენს ბედკრულ სამშობლოში.

განსხვავებულია ლეიბორისტული „პოხონდრიები“, რომელთა ლიდერი შალვა ნათელაშვილი, ბევრის აზრით, ვერასდროს ჩამოირეცხავს იმ ლაქას, რასაც ნაცების ფიურერისთვის დედაქალაქის საკრებულოს თავკაცობის დათმობა (ვითომ უანგაროდ? — **ავტ.**) ჰქვია, ერთხელ გაყიდული კი, მოგეხსენებათ, ადრე თუ გვიან, სხვასაც მიეყიდება.

იმავეს, მართალია, ვერ ვიტყვით „დემოკრატიულ მოძრაობაზე“, მაგრამ აქ უკვე სხვა ნიუანსია გასათვალისწინებელი: გემახსოვრებათ, ალბათ, გაგანია საპროტესტო აქციების დროს ქალბატონებს ნინო ბურჯანაძესა და სალომე ზურაბიშვილს რატომღაც ურთიერთობა რომ გაუფუჭდათ (ყოველ შემთხვევაში, ასეთი ხმები გამოვიდა მაშინდელ ოპოზიციონერთა ბანაკიდან). ჰოდა, ძველი ანგარიშების გასასწორებლად უკეთესი მომენტი როდისღა გამოჩნდება?!

მეორე ტურამდე საკმარისი დროა დარჩენილი, ასე რომ, თანდათან, მომავალ ხმათა სავარაუდო ფასებიც დაიხვეწება.

გია პლატონიშვილი

საპრეზიდენტო კანდიდატთა შანსები და ანალიტიკოსების პროგნოზები

28 ოქტომბერი გავიდა, თუმცა საქართველოში კვლავ წინასაარჩევნო ვნებათაღელვაა: ამჯერად — გადამწყვეტი II ტურის მოლოდინში. საარჩევნო რბოლაში დარჩენილი ორი კანდიდატის — მმართველი გუნდის მიერ მხარდაჭერილი სალომე ზურაბიშვილისა (615 433 ხმა — 38.64 %) და გაერთიანებული ოპოზიციური მოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატ გრიგოლ ვაშაძის (600 970 ხმა — 37.74 %) — მაჩვენებლებს შორის სხვაობა იმდენად უმნიშვნელოა, რომ ხმათა პარალელური დათვლის მწარმოებელი ორგანიზაციების უმრავლესობას I ადგილზე გასული კანდიდატის დასახელება გაუჭირდა.

ამასთან, ცესკოს ოფიციალური მონაცემებით, **2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების I ტურში საკუთარი მოქალაქეობრივი პოზიცია 1 637 956-მა ამომრჩეველმა დააფიქსირა,** რაც საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლები, კერძოდ, **46.74%-ია.**

მეორე ტურის წინ შექმნილ ამგვარ ვითარებაში მთავარი კითხვებია: **მოახერხებს თუ არა გაერთიანებული ოპოზიცია სხვა ოპოზიციური გაერთიანებების ხმების მობილიზებას? დარჩა თუ არა მმართველ გუნდს 28 ოქტომბერს აუთვისებელი ელექტორალური რესურსი? და მოახერხებენ თუ არა პოლიტიკური მეტოქეები II ტურის დღეს საარჩევნო უბნებზე ამომრჩევლის იმ 54%-ის გაყვანას, რომელმაც სკეპტიკური განწყობის, ინდიფერენტულობისა თუ პროტესტის ნიშნად 28 ოქტომბერს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.**

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები 28-ში, მთელი საარჩევნო პროცესის განმავლობაში უბნებთან ე.წ. „მეგობრული სიებით" (როგორც ამას მმართველი გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა მამუკა მდინარაძემ უწოდა) აღჭურვილი „ქართული ოცნების" კოორდინატორების მობილიზებაზე მიუთითებდნენ, მმართველი გუნდი დარწმუნებულია, რომ ამომრჩევლის გამოუყენებელი რესურსი კიდევ დარჩა და II ტურამდე დარჩენილ ორ კვირაში მის „ათვისებას" შეძლებს.

„ქართული ოცნების" ძალიან ბევრი ამომრჩეველი დარჩა სახლში. დარწმუნებული ვარ, ის გაბრაზებული ადამიანები მივლენ არჩევნებზე მეორე ტურში და სალომე ზურაბიშვილი გახდება საქართველოს პრეზიდენტი", — ამბობს „ქართული ოცნების" აქტივისტი ირაკლი ლატარია.

რაც შეეხება ოპოზიციურ ხმებს, საარჩევნო რბოლიდან გამოთიშული ძირითადი კანდიდატების პოზიციები უკვე ცნობილია:

ეგზიტპოლების პირველადი შედეგების გამოცხადებისთანავე „ევროპული საქართველოს" საპრეზიდენტო კანდიდატმა დავით ბაქრაძემ მარცხი აღიარა, მხარდაჭერა გრიგოლ ვაშაძეს გამოუცხადა და ანალოგიური ნაბიჯის გადადგმისკენ საკუთარ მხარდამჭერებსაც მოუწოდა.

მისგან განსხვავებით, „გირჩის" საპრეზიდენტო კანდიდატი ზურაბ ჯაფარიძე აცხადებს, რომ პირადად მეორე ტურში ხმას გრიგოლ ვაშაძეს მისცემს, თუმცა თანაგუნდელებს ანალოგიური პოზიციის დაფიქსირებისკენ ვერ მოუწოდებს და რომ ეს გადაწყვეტილება თითოეულმა მხარდამჭერმა ინდივიდუალურად უნდა მიიღოს.

„შენების მოძრაობის" საპრეზიდენტო კანდიდატმა დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ ვერც ზურაბიშვილს დაუჭერს მხარს და ვერც ვაშაძეს: „სამწუხაროდ, არც ვაშაძე-სააკაშვილი და არც ზურაბიშვილ-ივანიშვილ-ფარცხალაძე მაძლევს იმის საშუალებას, რომ რომელიმე მათგანს პოლიტიკური მხარდაჭერა გამოვუცხადო მეორე ტურშიო".

ანალიტიკოსი **კახა გოგოლაშვილი** ფიქრობს, რომ II ტურში გამარჯვების შანსი ორივეს აქვს — ზურაბიშვილსაც და ვაშაძესაც.

მისი აზრით, მმართველ გუნდს გამოუყენებელი რეზერვი მართლაც დარჩა და აქვს მისი გამოყენების ფინანსური შესაძლებლობები, ოღონდ შეცდომები არ უნდა გაიმეოროს:

„ძალიან რთული იქნება, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ „ოცნებამ" სერიოზული, ინტენსიური მუშაობა ჩაატაროს რეგიონებში, ადმინისტრაციული რესურსი უფრო კარგად გამოიყენოს, სამსახურებს დაჰპირდნენ ხალხს და ა.შ. არ ვიცი, რას და როგორ იზამენ, მაგრამ ფაქტია, რომ ძალიან სერიოზული ფინანსური შესაძლებლობები აქვთ და თუ ამ კამპანიის შედეგად არჩევნებზე დამატებით 6-7% მიიყვანენ, არ არის გამორიცხული, სალომე ზურაბიშვილს შანსი ჰქონდეს. ხოლო თუ ისევ გააგრძელეს მსგავსი მესიჯები — „აი, საზიზღარი „ნაციონალური მოძრაობა", ამათი ბრალია ყველაფერიო", არაფერი გამოვა, რადგან ამას ხალხმა პასუხი პირველ ტურში უკვე გასცა".

ამაში მას ფილოსოფოსი ზაზა ფირალიშვილიც ეთანხმება, რომელიც მეორე ტურში „მძიმე ბრძოლის" მოლოდინშია:

„ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად არ დაიბნევა „ქართული ოცნება", რამდენად შეძლებს თავისი რესურსების მობილიზებას. თუ ისევ უცნაური თვითკმაყოფილების გამოხატვის გზით ივლიან, რა თქმა უნდა, მეორე ტურში მათთვის მძიმე შედეგები დადგება. გარდა ამისა, ისიც უნდა გაითვალისწინონ, რომ „ნაციონალური მოძრაობა" ხელახალ აღმავლობას განიცდის: თითქოს ენერგია აქვთ შემატებული და იმ ამომრჩევლის მობილიზება, რომელიც ტრადიციულად „ნაციონალურ მოძრაობას" უჭერს მხარს, დიდად არ გაუჭირდებათ. ამდენად, ახლა მე ნამდვილად არ მშურს „ქართული ოცნების" მდგომარეობის. მათ წინ რთული ბრძოლა ელით და ძველი პარადიგმებით, ბრძოლის ძველი წესებით, ოპონენტების მიმართ აგდებული თუ რაღაც მსგავსი დამოკიდებულებით, ისევ იმ „9 წელზე" აპელირებით არაფერი გამოვა".

რაც შეეხება გრიგოლ ვაშაძის პერსპექტივებს, კახა გოგოლაშვილის აზრით, რბოლიდან გათიშული საპრეზიდენტო კანდიდატების ხმები გაიყოფა, თუმცა ვაშაძეს მაინც უგროვდება 50%-ზე მეტი და მოგების რეალური შანსები აქვს:

„ხმები გაიყოფა. მაგალითად, ნათელაშვილის ამომრჩეველთა ნაწილი ან არ წავა არჩევნებზე, ან ნაწილი ხმას მისცემს „ოცნებას", ნაწილი — „ნაციონალურ მოძრაობას". რაც შეეხება ბაქრაძის ხმებს, მისი 11%-იდან 3% შეიძლება, აღარ წავიდეს არჩევნებზე, ვთქვათ, განსაკუთრებული ზიზღი აქვს „ნაციონალური მოზრაობისა" და მიხეილ სააკაშვილის მიმართ, მაგრამ დანარჩენები წავლენ და ხმას ვაშაძეს მისცემენ. ამდენად, ვაშაძეს 50%-ზე მეტი უგროვდება და არჩევნებს იგებს".

ამასთან, გოგოლაშვილის აზრით, ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის აქტიურობამ შესაძლოა, მეორე ტურისთვის დამატებითი ხმების მობილიზების კუთხით პრობლემები შექმნას:

„თუ კიდევ ზედმეტი რაღაცები ილაპარაკა, შესაძლოა, ოპოზიციის კანდიდატს ხმები დააკარგვინოს. ის ძალიან შორსაა, ძალიან ექსპერესიული ტიპია, ხშირად დაუფიქრებლად ლაპარაკობს, შეიძლება, რაღაც ზედმეტი თქვას და ამით გარკვეული წილი ხმებისა დააკარგვინოს. ამიტომ, ვფიქრობ, ამ შემთხვევაში მისი ზედმეტი აქტივობა საჭირო სულაც არ არის. გასაგებია, რომ მიხეილ სააკაშვილს ძალიან ბევრი უჭერს მხარს, მას ჰყავს თავისი ელექტორატი, მაგრამ სააკაშვილი დამატებით ხმებს ვეღარ მოიპოვებს", — განუცხადა „აქცენტს" ანალიტიკოსმა.

საპროექტო დოკუმენტაციის ტენდერი მალე გამოცხადდება

დედაქალაქის მერის კახა კალაძის განცხადებით, **მიწისზედა მეტროს განვითარებისთვის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით, ტენდერი ნოემბრის ბოლოსთვის გამოცხადდება.**

მისი თქმით, აღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგად, მიწისზედა მეტროთი ყოველდღიურად, დაახლოებით, 150 000 მგზავრი ისარგებლებს.

„გასულ კვირას, პრემიერ-მინისტრთან ერთად, წარმოგიდგინეთ ახალი მიწისზედა მეტროს პროექტი, რომელიც სამგორიდან ლილოს მიმართულებით ამოქმედდება. პროექტი მეტროსადგურ „სამგორიდან" ლილოს ბაზრობამდე სრულიად ახალი, დამოუკიდებელი, მიწისზედა ხაზის მშენებლობას ითვალისწინებს. სამგორის მეტროსადგურთან, მიწისზედა არეალში მოეწყობა სრულიად ახალი მეტროსადგური, რომელიც აქამდე მოქმედ სადგურს დაუკავშირდება და ერთგვარი გადასაჯდომი სადგური იქნება. აღნიშნული სადგურის გარდა, ახალ ხაზზე მოეწყობა კიდევ შვიდი მეტროსადგური. დღის განმავლობაში, ამ ხაზზე ელექტროტრანსპორტის ექვსი მოძრავი შემადგენლობა იმოძრავებს. დროთა განმავლობაში შემადგენლობებს დავამატებთ. პირველ ეტაპზე, მოცდის დრო დაახლოებით, 10 წუთი იქნება. ყოველდღიურად, დაახლოებით, 150 000 მგზავრი შეძლებს გადაადგილებას", — აღნიშნა კახა კალაძემ.

მერიის სოციალური კამპანია — „გაუფრთხილდი ქალაქს"

თბილისის მერია სოციალურ კამპანიას — **„გაუფრთხილდი ქალაქს" იწყებს, რომლის მიზანი ცნობიერების ამაღლება, სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდა და ქალაქზე ზრუნვის კულტურის განვითარებაა.**

როგორც დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ თბილისის მთავრობის სხდომაზე განაცხადა, კამპანიის ფარგლებში არაერთი პროექტი განხორციელდება და მათში მოქალაქეების ჩართულობა მნიშვნელოვანია.

„ხშირია განახლებული სკვერების, მოწესრიგებული ქუჩების მიზანმიმართული დაზიანების შემთხვევები. ბევრი ასეთი ვანდალური ფაქტია, რისი ამსახველი ვიდეოკადრებიც არსებობს და მათ აუცილებლად მივაწვდით მოსახლეობას, თუ როგორ არ უნდა მოიქცეს მოქალაქე. ვიწყებთ სოციალურ კამპანიას — „გაუფრთხილდი ქალაქს", რომელიც მიზნად ისახავს ცნობიერების ამაღლებას, სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებას და ქალაქზე ზრუნვის კულტურის განვითარებას. კამპანია ყველა მოქალაქეს საშუალებას მისცემს, მაქსიმალურად ჩაერთოს ქალაქის მოვლა-პატრონობის პროცესში, გაუფრთხილდეს არსებულ ინფრასტრუქტურას, მწვანე საფარს, იზრუნოს სისუფთავეზე. დარწმუნებული ვარ, რომ ამ პროექტში ბევრი ადამიანი ჩაერთვება, ბევრი მხარდამჭერი ეყოლება, რადგან, რასაც ვაკეთებთ, ეს ყველა ჩვენგანის, ჩვენი ქალაქის საკუთრებაა. როდესაც თანხები იხარჯება, ეს ბიუჯეტის თანხაა, რომელსაც ჩვენ ვუწევთ მენეჯმენტს, რათა სწორად განიკარგოს, სწორად დაიხარჯოს და კარგი პროექტები განხორციელდეს. ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ კამპანიაში ბევრი ადამიანი ჩაერთვება. თითოეული თქვენგანის მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია", — განაცხადა კახა კალაძემ.

სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სისტემა კიდევ 2 კოოპერატივში დაინერგა

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები **„მთის გემო" და „თანადგომა" ადიგენისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში საქმიანობენ. მათ USAID/საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტის თანადაფინანსებით „საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის" შესაბამისობის სერტიფიკატი მიიღეს.**

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები „მთის გემო" და „თანადგომა" 2016 წელიდან ჩართულები არიან „რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამაში, რომლის ფარგლებში ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანავში და გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმისში რძის გადამმუშავებელი კოოპერაციული საწარმოები ფუნქციონირებენ.

ხონში ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს სამედიცინო კორპუსი შეემატა

ხონში, სოფელ ქუტირში არსებულ აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს" ახალი, ევროპული სტანდარტების შესაბამისი, 100 პაციენტზე გათვლილი სამედიცინო კორპუსი შეემატება. ახალი 2400 კვ.მ. შენობა-ნაგებობა სრულად ადაპტირებული იქნება შშმ პირებისთვის, ხოლო ბენეფიციარების უსაფრთხოების მიზნით პერიმეტრზე განხორციელდება ვიდეოკონტროლი. სამედიცინო დაწესებულების ბენეფიციარები პალატაში დამონტაჟებული აუდიოგახმოვანების სისტემით ისარგებლებენ, ხოლო მათი კოგნიტური უნარების შესანარჩუნებლად სტაციონარის ოთხივე განყოფილებაში მოეწყო ევროპული ტიპის სამზარეულო.

შეგახსენებთ, რომ შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი" ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა საგენტომ რამდენიმე წლის წინ საინვესტიციო პიროებებით გაასხვისა, რომლის მიხედვითაც მყიდველი ვალდებულია, ტერიტორიაზე მოაწყოს 700 საწოლზე გათვლილი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო დაწესებულება, რისთვისაც ჯამში 6 მილიონი ლარის ინვესტიციას განახორციელებს.

„ხელისუფლების დანაშაული იმდენად დიდია, გაზომვა შეუძლებელია, მაგრამ ფანჯრიდან გადავხტეთ?“

საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებმა გარკვეული დასკვნის გამოტანის საშუალება საკმაოდ მკაფიოდ მისცა საზოგადოებასაც და ხელისუფლებასაც. თუმცა არის კითხვა, რომელზე პასუხიც საზოგადოებამ აუცილებლად უნდა გასცეს ახლა უკვე საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში – მისცემს თუ არა გამარჯვების შანსს გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატს, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ რეინკარნაციის და კანონთან მიმართებაში თუ საზოგადოების თვალში დამნაშავედ მიჩნეული ყოფილი ხელისუფლების ჩინოვნიკების რეაბილიტაციის პირობას დებს. რამდენად შეძლებს დღევანდელი ხელისუფლება, ფაქტობრივად, წაგებული პარტიის გადათამაშებას და საკუთარი პოზიციის გამყარებას, რა ნაბიჯი შეიძლება აღმოჩნდეს ხალხისთვის დამაჯერებელი – მიმდინარე პოლიტიკურ პროცესზე ექსპერტი რამაზ საყვარელიძე გვესაუბრება.

– 2012 წლის მერე განუწყვეტლივ კლებულობს იმ ადამიანთა რიცხვი, რომელიც მიდის საარჩევნო უბნებთან და ეს ტენდენცია შეინიშნება, ძირითადად, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების მხრიდან. რამდენიმე არჩევნები გავიარეთ ასე, შემცირდა ამომრჩეველთა რაოდენობა საპარლამენტო არჩევნებზე, კიდევ უფრო ცოტა ხალხი მივიდა ადგილობრივ არჩევნებზე და მაშინ ითქვა კიდეც, უნდა დავფიქრდეთო. დაფიქრდნენ? – შედეგს ვერ ვხედავთ. ის, რაც დღეს გაცნობიერდა, ამისი სიმპტომი დიდი ხანია, არსებობს.

– სხვას რომ თავი დავანებოთ, საექსპერტო წრეებიდან მუდმივად კეთდებოდა შეფასებები, რომ რაღაც შესაცვლელი იყო, ისე ვერ ვითარდებოდა ქვეყანა, როგორი მოლოდინიც არსებობდა, ამომრჩეველი ამას უპასუხოდ არ დატოვებდა და ა.შ. რატომ მოხდა ხელისუფლების და საზოგადოების გამიჯვნა?

– სწორედ ის ექსპერტები, რომლებიც მხარს უჭერდნენ „ქართულ ოცნებას“, თავის დროზე მიიწვია ბიძინა ივანიშვილმა და დაგვიწყო კამათი (მათ შორის მეც ვიყავი და შენიშვნებიც უკვე გვქონდა), გვითხრა, რომ სწორი არ ვიყავით. იმ პერიოდში, იმ ადამიანთა წრეებში, რომლებთანაც ურთიერთობა გვქონდა, უკმაყოფილების გარკვეული ფრაგმენტები უკვე არსებობდა. ამ ყველაფრის გათვალისწინება ხომ შეიძლებოდა? – ამის ნაცვლად მოიჭრა ამ ექსპერტებთან ყველანაირი ურთიერთობის გზა.

– აქვს ხელისუფლებას იმის რესურსი, რომ საკუთარ შეცდომებზე ისწავლოს, რომელიც საკმაოზე მეტად თვალნათელია და რეალურად შეეცადოს სიტუაციის გამოსწორებას?

– მეც მახსენდება რაღაც ფრაგმენტები ხელისუფლების მოქმედებებიდან, რაც არ მაძლევს ოპტიმისტური დასკვნის გამოტანის საშუალებას, მაგრამ მეორე მხრივ, **არის ერთი მომენტიც – შესაძლოა, თვლიდნენ, რომ ეს იყო ცალკეული შენიშვნები, ხოლო მთლიანობაში პროცესი მათ სასარგებლოდ მიმდინარეობდა, ამიტომ არ აძცევდნენ შენიშვნებს ყურადღებას, რაც თავისთავად, შეცდომაა.** მაშინაც კი, როდესაც გამარჯვებული ხარ, ყურადღება უნდა მიაქციო ყველა იმ ნიუანსს, რაც კი შენს გამარჯვებას ოდნავ მაინც ამცირებს.

შესაძლოა, მარცხმა გამოაფხიზლოს, ასეთი შოკური ეფექტები მომხდარა როგორც ცალკეული ადამიანების, ისე პოლიტიკური ცხოვრების შემთხვევაშიც.

– ხშირად ამბობდნენ, რომ საპრეზიდენტო არჩევნები იქნებოდა ერთგვარი ლაკმუსი, რომელიც დაგვანახვებდა იმას, თუ როგორ წარიმართებოდა პროცესები მომავალ, საპარლამენტო არჩევნებზე. რა მივიღეთ? „ოცნებას“ ვეუბნებით „არას“ და ვაბრუნებთ „ნაციონალურ მოძრაობას“? ხელისუფლების ყოფნა-არყოფნის თემა სერიოზული ეჭვის ქვეშ დადგება?

– საკმაოდ რეალურად დადგება ეს პრობლემა, იმიტომ, რომ რაც უჭირდა „ნაციონალურ მოძრაობას“, ეს იყო მხარდამჭერთა რაოდენობა – მიტინგებზეც კი ვერ აგროვებდნენ ხალხს. ახლაც მხარდამჭერების რაოდენობის გამო კი არ დადო ეს შედეგი, არამედ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების არჩევნებზე მიუსვლელობის გამო. მაგრამ ერთხელ რომ გაიმარჯვებ, შემდეგ გამარჯვებულთან უფრო მეტი ხალხი მიდის – ასეა ცხოვრება მოწყობილი.

იმ მოტივითაც სურთ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება, რომ შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდეს მათი რიგები. მით უმეტეს, თუ მოხერხდა „ნაციონალური მოძრაობის“ სხვადასხვა განაყოფებს შორის ინტეგრაცია, საპარლამენტო არჩევნებშიც შეიძლება ერთიანი ფრონტოთ გამოვიდნენ და ეს კიდევ უფრო მეტ შანსს მისცემს. თუკი არჩევნებამდე არაფერი შეიცვალა „ქართული ოცნების“ იმიჯში, მაშინ საზოგადოების დამოკიდებულებაც შეიცვლება მათ მიმართ და ა.შ. ანუ შანსი, გაერთიანებულმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საპარლამენტო არჩევნები მოიგოს და შემდეგ ხელისუფლების დაკომპლექტების უფლება მოიპოვოს, საკმაოდ რეალურია.

– იყო ვარაუდი, რომ ხელისუფლებაზე განაწყენებული „ქართული ოცნების“ ამომრჩეველი ხმას მისცემდა დავით უსუფაშვილს, რომელსაც ახასიათებენ გამოცდილ და წესიერ პოლიტიკოსად. ასეთი პროგნოზები კეთდებოდა გამომდინარე იქიდან, რომ ადგილობრივ არჩევნებზე ასეთი ამომრჩეველი მიიზიდა ალექსანდრე ელისაშვილმა...

– უსუფაშვილის გამოცდილება საკმაოდ სპეციფიკურია ისე, როგორც დანარჩენი პოლიტიკური სპექტრის, იგივე, შალვა ნათელაშვილის და ა.შ. ნაციონალების გარდა. მათ წაგების დიდი გამოცდილება აქვთ. ასეთი გამოცდილება კი მოგებაში არ გეხმარება. მათ ბევრი პოლიტიკური შეცდომა აქვთ დაშვებული და იმავეს იმეორებენ. უსუფაშვილი ამბობს, რომ ერთად ავაშენოთ ქვეყანა ისე, რომ ერთმანეთს არ დავუპირისპირდეთო. როგორ უნდა ააშენონ ქვეყანა ისე, რომ ერთმანეთს არ დაუპირისპირდნენ ერთმანეთთან დაპირისპირებული ძალები? კარგი ქვეყნის აშენება ყველას უნდა, მაგრამ გზაც უნდა იცოდნენ ეს როგორ კეთდება. უსუფაშვილს ეს გზა არასოდეს არ უხსენებია. გზა შეიძლება იყოს სწორი, შეიძლება არა, მაგრამ შენმა ამორჩეველმა უნდა იცოდეს, რომ შენ გზა იცი. ყველამ ერთად გადავწყვიტოთო, რომ ამბობს, ეს გზა არ არის, მაშინ პოლიტიკოსები საჭირონი აღარ იქნებოდნენ. ამიტომაც ვერ წაიღო ეს ხმები უსუფაშვილმა. ელისაშვილის შემთხვევაში იყო იმის განცდა, რომ მან იცის ქალაქი, რა სჭირდება თბილისს და ა.შ. მისი კომპეტენციის რწმენა იყო. საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების შემთხვევაში აუცილებელია იმის ჩვენება, რომ იცი, რა სჭირდება ქვეყანას. ელისაშვილს შეუძლია თითოეული ქუჩა დაასახელოს და იცის ამ ქუჩის პრობლემები. ქვეყნის მასშტაბით ამბიციების მქონე პოლიტიკოსებს კი მსგავსი კომპეტენციის დეფიციტი აქვთ და სწორედ ეს არის პრობლემა.

– საბოლოოდ რა მივიღეთ, „ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩეველი ელოდება ამ პოლიტიკური ძალის დაბრუნებას, აქვს მისი რწმენა, დანარჩენი ამომრჩევლისთვის კი უკვე სულერთია რა მოხება?

– ასეთი სურათი რომ იყოს, სალომე ზურაბიშვილი საერთოდ ვერ შეძლებდა ხმების აღებას. „ოცნებასაც“ დაახლოებით იმდენი ამომრჩეველი ჰყავს, რაც „ნაციონალურ მოძრაობას“ და ეს ამ არჩევნებმა გამოავლინა. ნაციონალებს ხმების პროცენტული რაოდენობა შეიძლება გაეზარდოთ იმის ხარჯზე, რომ სხვა ოპოზიციური პარტიები მას მისცემენ ხმებს. „ქართული ოცნების“ ამორჩეველი კი იმის ხარჯზე შეიძლება გაიზარდოს, რომ სამზარეულოებიდან გამოიყვანოს ადამიანები – ეს ადვილი არ არის, როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ 6 წელიწადი ყველაფერი გააკეთა იმიჯის გასაფუჭებლად. მოხერხდება თუ არა ამ იმიჯის რამდენიმე დღეში ამოტრიალება, არ ვიცი, თუმცა შეუძლებელი არაფერია. ამასაც თავი რომ დავანებოთ, „ოცნებაში“ არ არის მხოლოდ საქმე – „ნაციონალური მოძრაობა“ ბრუნდება და თუ ეს მოხდება, მერე უკვე სხვა თემაზე იქნება ლაპარაკი – რა იმედები გაუცრუვდებათ ან არ გაუცრუვდებათ ადამიანებს, ეს უკვე სხვა საკითხი გახდება. მთავარი კიდევ ის არის, რომ დასკვნა გააკეთოს „ქართულმა ოცნებამ“, რატომ ჰყავთ ნაციონალებს მდგრადი ამომრჩეველი – იმიტომ, რომ ის მხარს უჭერს თავის მომხრეებს. ცდილობს მათთან ურთიერთობის შენარჩუნებას – მეთოდებზე არ ვლაპარაკობ. „ქართულ ოცნებას“ კი იმის დეფიციტი აქვს, რომ მომხრეები შეინარჩუნოს და ამომრჩეველიც იმას ჩივის, რომ ის „ოცნებას“ მხარს უჭერდა, მაგრამ „ოცნება“ მას არ დაუდგა გვერდში – უპასუხო სიყვარულის თემას ჰგავს. მომხრეების მოპოვებას და შენარჩუნებას გარკვეული სტილი, სტრატეგია და ურთიერთობის წესი სჭირდება, საკადრო პოლიტიკა და ა.შ. მთელი საქართველო იმას ეუბნება ხელისუფლებას, რომ სოლიდური ადამიანები მოიყვანოს მართვაში – მოაზიურო ქვეყანა ვართ და „ბიჭუშკების“ მართვა დიდად დამაჯერებელი არ არის. თუმცა თავის დროზე სააკაშვილიც „ბიჭუშკა“ იყო, მაგრამ მის მართვის უნარში არავის შეპარვია ეჭვი, ვისაც შეეპარებოდა, ვიცით, როგორც უჩვენებდა გზას, ხან ციხეში, ხან ცოცხებით და ა.შ. ეს გვინდა მაინც და მაინც? მაშინ, გამოდის რომ სააკაშვილისა და ალასანიას საუბარი ჭეშმარიტებასთან ახლოსაა – იმ ხალხთან გვაქვს საქმე, როგორც ალასანია ამბობს, თავზე თუ არ უქენი, მისგან ვერაფერს მიიღებო? – ასეთ სიტუაციასთან მივდივართ? დღევანდელ უკმაყოფილებასთან შედარებით დაავიწყდათ ის, რაც 2012 წლამდე ჰქონდათ? თუმცა ეს სხვადასხვა უკმაყოფილებაა. ძალადობით უკმაყოფილება და უძლურებით უკმაყოფილება, აბსოლუტურად სხვადასხვა რამ არის. როდესაც უძლურებით უკმაყოფილო ადამიანი ძალადობას ირჩევს, მისი მომავალი არასახარბიელო იქნება. მოახერხებს კი „ქართული ოცნება“, რომ ხალხს ეს გააცნობიერებინოს? თუ ვერ მოახერხებს, მაშინ ამას ჟურნალისტიკა უნდა შეეცადოს.

– ანუ პასუხისმგებლობა უნდა აიღოს ამომრჩეველმა და ისევ გაისტუმროს „ნაციონალური მოძრაობა“ – მაშინ ჩნდება კითხვა, რისთვის გვინდა ეს ხელისუფლება, რომელიც ვერც პოლიტიკურ ოპონენტებს უმკლავდება და ვერც საკუთარ ამორჩეველს დაუდგა გვერდით?

– მხოლოდ ხელისუფლებას ნუ დავაბრალებთ – რა მიმართულებითაც ჟურნალისტიკას მიჰყავს ხალხის მენტალიტეტი, ხალხიც იქით მიდის. ეს „რუსთავი2“-ის, ანუ „ნაციონალური მოძრაობის“ ნაკარნახევი მიმართულებაა. ეს ცხოვრება ნამდვილად არ არის კარგი, მაგრამ არის კი ისე კატასტროფული, რომ ძალადობა არჩიო?! გახსოვთ, ალბათ, 11 სექტემბერს აფეთქებული ცათამბჯენებიდან პანიკაში ჩავარდილი ხალხი რომ ხტებოდა და შველას უკვე აღარ ელოდებოდა. თუკი პანიკას კარგად გაღვივებ მოსახლეობაში, ისინიც შეიძლება ფანჯრიდან გადაახტუნო და ჩვენ ასეთი, ფანჯრიდან გადამხტარი მოსახლეობა ვართ.

– ამაში ხელისუფლების დანაშაულიც რომ არის, ამას რა ვუყოთ?

– ხელისუფლების დანაშაული იმდენად დიდია, გაზომვა შეუძლებელია, მაგრამ რაკი ხელისუფლების დამსახურებაა ასეთი სიტუაციის შექმნა, უნდა ავდგეთ და ჩვენ გადავხტეთ ფანჯრიდან? საკუთარი თავის გადარჩენის ინსტინქტი არ უნდა გვქონდეს?

– სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლებაზე თუ არის საუბარი, ალბათ, ხელისუფლებისგანაც უნდა მოითხოვოს უკუგება...

– სამოქალაქო საზოგადოება ფართო ცნებაა და თუ ჩვეულებრივ მოქალაქეთა პასუხისმგებლობაზეა საუბარი, დიახ, მათი პოზიცია ცოტა უფრო მკაფიო უნდა იყოს.

ლალი ზირაქიშვილი

მივმართავ „მეოცნებეებს“, „მთავარ მეოცნებეს“!

ხალხმა, საზოგადოების დიდმა ნაწილმა თავები გადადო 6 წლის წინათ და „ლანგრით“ მოგართვათ ხელისუფლება, იმის გამო კი არა, რომ განსაკუთრებულები ან გამორჩეულები იყავით, მაშინაც მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი იყვნენ ძალიან ცუდები და გაგიმართლათ!

იმდენიც იკადრეთ უმადურებმა, გაზულუქებულებმა თქვენი და თქვენი ახლობლების კეთილდღეობის მიზნით არაფრად ჩააგდეთ, გააწბილეთ როგორც თქვენი მხარდამჭერები, ნაბრძოლი და ნატანჯი ხალხი, ისე საზოგადოების ის დიდი ნაწილიც, რომელმაც თქვენ თავის დროზე ხმა მოგცათ და ხელისუფლებაში მოგიყვანათ. დამნაშავეებს და მწვალებლებს გაუერთიანდით! არ თაკილობთ და „საერთო ლუკმასაც“ ინაწილებთ, კანში აღარ ეტევით! საკუთარ აღმშენებლობაში გართულებს ქვეყანა აღარ გახსოვთ...

სანამ გვიან არ არის, გამოფხიზლდით „მოყვასის გაწნულ სილად“ მიიღეთ დღევანდელი დღე, აღიარეთ შეცდომები, გონს მოეგეთ, ჩამოაყალიბეთ პოზიცია და ამჯერად მაინც მყარად, გარანტირებულად უთხარით ხალხს, კონკრეტულად და არა ზოგადად, თუ რისი გამომსწორებლები ან გამკეთებლები ხართ, რომ მომავალში ამომრჩეველი გამოგყვეთ, მდგომარეობა დასტაბილიზდეს.

თუ არა და ახი ყოფილა ყველაფერი თქვენზეც, ჩვენზეც! განკითხვის ჟამიც მალე დაგიდგებათ!

დავით ბეგიაშვილი,
საინიციატივო ჯგუფის „ბიზნესმენები თავისუფალი ბიზნესისთვის საქართველოში“ კოორდინატორი და „ალბატროს ჯგუფის“ დამფუძნებელი

„ᲯᲝᲠᲯᲘᲐᲜ ᲣᲝᲗᲔᲠ ᲔᲜᲓ ᲤᲐᲣᲔᲠᲛᲐ“ გესთ-ჰაუსების წინააღმდეგ „სადამსჯელო ოპერაცია“ airbnb-სა და bookin.com-ის გვერდების მეშვეობით დაიწყო. როგორც ირკვევა, კომპანიის წარმომადგენლებმა ზემოაღნიშნული საიტების მეშვეობით ამოიღეს გამქირავებლების მისამართები და მათ თავზე გაუფრთხილებად დაადგნენ. კომპანია გამქირავებლებს წყლის გადასახადის კომერციული ტარიფით გადახდას სთხოვს, რაც სამომხმარებლო ტარიფთან შედარებით 4-ლარიან სხვაობას იძლევა. ირკვევა, რომ რიგ შემთხვევებში სოლიდური ჯარიმებიც გამოიწერა.

შექმნილმა ვითარებამ ამ ბიზნესით დაკავებული მოქალაქეები აღაშფოთა. როგორც ისინი განმარტავენ, მსგავსი პროცესების გაგრძელების შემთხვევაში, მოქალაქეები იძულებულები გახდებიან, ბიზნესი დახურონ და ქვეყნის უმუშევართა რიგებს კიდევ ახალი ნაკადი მიემატება.



„თუ ასე გაგრძელდა, დავიხურებით!“

„აიძულებ მოქალაქეებს, დამალონ გადასახადები!“

„GWP-ს წარმომადგენლები შემოვიდნენ ჩემთან, მკითხეს, თუ მქონდა სასტუმრო. ვუთხარი, რომ ვცხოვრობ, პარალელურად, პერიოდულად ვაქირავებ airbnb-სა და booking.com-ის მეშვეობით, ამასთან მაქვს ურთიერთობა არარეზიდენტებთან და ვარ ჩვეულებრივი კერძო გამქირავებელი, როგორც „გესთ-ჰაუსი“ და არა დავუშვათ, კომერციული ობიექტი. GWP-ის წარმომადგენელმა მითხრა, **„განვიხილავთ თქვენს საკითხს, გავივლით თემას და იქ გეტყვიან, დაჯარიმდებით თუ არაო“. ამასთან, ეს ადამიანი აიპარა ჩემი კერძო საკუთრების მეორე სართულზე, უკითხავად დაიარა იქაურობა, და ასევე უნებართვოდ განახორციელა ვიდეოგადაღება. ამის შემდეგ მომივიდა ჯარიმის ქვითარი, რომელიც არ ჩავიბარე, რადგან ის რეალობას არ შეესაბამებოდა. ჩემი ჯარიმა შეადგენდა 1730 ლარს, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომელთაც 2 000-ლარიანი ჯარიმები გამოუწერეს“,** — უყვება „აქცენტს“ ერთ-ერთი „გესთ-ჰაუსის“ მეპატრონე, რომელმაც ამ ეტაპზე ანონიმურად დარჩენა არჩია.

როგორც მცირე ბიზნესის წარმომადგენელი განმარტავს, მსგავს შემთხვევაში მოქალაქეებს სოლიდური გადასახადების გადახდა უწევთ, რის შესაძლებლობასაც თავად ამ ბიზნესიდან მიღებული შემოსავალი არ იძლევა:

„მე თუ სახელმწიფო მეუბნება, რომ ვარ მცირე მეწარმე, მაქვს განვითარების შესაძლებლობა და ამიტომ გადასახადებში მიკეთებს შეღავათს, GWP გვიყურებს როგორც კომერციულ ობიექტს და შესაბამის გადასახადსაც გვიწესებს. ვკითხულობ, მე რა ვქნა, როდესაც წელიწადში მხოლოდ რამდენიმე თვის განმავლობაში ვაქირავებ ოთახს და დანარჩენი პერიოდის განმავლობაში თავად ვცხოვრობ? არიან ადამიანები, რომელთა ერთადერთი და არა დამატებითი შემოსავალი სწორედ ბინების გაქირავებაა, მთელ დროს ქუჩაში ატარებენ, ღამე ნათესავებთან სძინავთ, რათა რამდენიმე ლარი იშოვონ ოჯახის შესანახად. ყველას თუ ასე ამოუკრიბეს გადასახადი, გამორიცხულია მათ ფინანსურად ამის გადატანა შეძლონ. როგორ შეიძლება, ერთი და იგივე გადასახადი გადავიხადოთ მე, რომელსაც მაქვს 4 ოთახი და სასტუმროებმა, რომელთაც 20-ზე მეტი ოთახი აქვთ? პირობითად, საერთო შემოსავალი მაქვს 9000 ლარი, ჩემი გადასახადები ითვლება საერთო შემოსავლიდან, ამას არაფერი აკლდება და წყლის გადასახადი, ცალკე მოგების გადასახადი 18% და ა.შ., მე ვიჭყლიტები.თუ სემეკი რაღაც რეგულაციებს არ შემოიღებს და გააკომერციულებენ მოსახლეობას, მათი ამ ბიზნესში ჩართულობა შეუძლებელი გახდება — პატარა ბიზნესი გაჩერდება“.

მცირე ბიზნესის წარმომადგენელი აცხადებს, რომ შექმნილი ვითარება მოქალაქეებს აიძულებს, სახელმწიფოს გადასახადები დაუმალონ, ასე კი ქვეყანა ჩრდილოვან ეკონომიკას თავს ვერ დააღწევს. მისი ვარაუდით, ზემოაღნიშნული წნეხი მსხვილი ბიზნესის ინტერესებს ემსახურება: ეს აუცილებლად მსხვილი სასტუმროების ინტერესია. აშენდა ძალიან ბევრი დიდი სასტუმრო, პატარა სასტუმროები მათ კონკურენციას უწევენ და ეს არ აწყობთ. ისინი ამ პრინციპით გადაყლაპავენ პატარა სასტუმროებს, ველარ გაქირავდება ბინები“.

„ᲑᲔᲕᲠ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜᲡ ᲓᲐᲮᲣᲠᲕᲐ ᲛᲝᲣᲬᲔᲕᲡ“

ᲘᲒᲘᲕᲔ სახის პრობლემებზე მიუთითებს ამავე ბიზნესის წარმომადგენელი **ᲐᲜᲘ ᲚᲐᲦᲘᲫᲔ**:

„ეს საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული პროცესი, დიდი დანაშაულია. ვფიქრობ, თემა არაა შესწავლილი. ბუნებრივია, ყველანი მომხრე ვართ, რომ დავიბეგროთ, მაგრამ ადეკვატური თანხით — არაფერი გვრჩება, იმდენად დიდია გასავალი, მით უფრო, როდესაც არასტაბილურად მუშაობ. გაქირავებით შემოსულმა თანხამ უამრავი ოჯახი გადაარჩინა. 1937 წელია, რომ შედიხარ ოჯახებში, უწესებ ჯარიმას, სასამართლოში მიგაქვს საქმე? ყველა ბინას, რომელიც უცხოეთში ტურიზმს ხმარდება და არის airbnb-სა და booking.com-ის ჩამონათვალში, დაწესებული აქვს სამომხმარებლო ტარიფი და არა კომერციული. ერთმანეთს ევროპასა და საქართველოს რომ ადარებენ, მაშინ კარგად გაერკვიონ. კომერციული ტარიფების პირობებში ძალიან გაგვიჭირდება, ბევრ ჩვენგანს დახურვა მოუწევს. ამ ბიზნესების დახურვა კი არ მგონია, სახელმწიფოს ინტერესებში შედიოდეს.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენ არანაკლებ მნიშვნელოვან საქმეს ვაკეთებთ, ვიდრე დიპლომატები, ეს ეხება ქვეყნებს, ხალხებს შორის ურთიერთობას: მასპინძლები ვართ, ვაწყობთ ტურებს, ვაცნობთ ქვეყანას, ოჯახებს. ეს არანაკლები სამუშაოა“.

ანი ლაღიძეს მიმდინარე პროცესი კითხვებს უჩენს:

„ძალიან მაინტერესებს, საიდან აგორდა ეს პროცესი. გავიგე, რომ ჩვენზე დიდი რამდენიმე სასტუმრო ბოლო დროს მომხმარებლის ნაკლებობას უჩივის. უნდა იცოდეთ, რომ ზოგადად მსოფლიოშია კრიზისი, ამიტომ ძალიან იშვიათია 5-ვარსკვლავიან სასტუმროებში მოხდეს შემოდინება. როდესაც ოჯახი ჩამოდის, ურჩევნია, პატარა ბინა აიღოს ყველანაირი სერვისით. ჩვენი მომხმარებელი არ დაინტერესდება ვთქვათ, „ბილტმორით“, ისევე როგორც „ბილტმორის“ მომხმარებელი არ შემოვა ჩემთან“.

„ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ!“

ᲒᲐᲛᲥᲘᲠᲐᲕᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ პრობლემებზე „აქცენტი“ ენერგოომბუდსმენ **ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲕᲐᲠᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲡ** ესაუბრა.

ირკვევა, რომ ოფიციალურად მარეგულირებელ კომისიაში 4 საჩივარია დარეგისტრირებული, თუმცა ინტერესი ბევრმა მოქალაქემ გამოხატა.

„ძალიან ბევრი ადამიანი მოვიდა, რომლებიც მათ გულშემატკივრობენ, რადგან იციან, რომ პოტენციურად, თავადაც დაზარალებულები არიან. გამოხმაურება საკმაოდ მასშტაბურია. მივხვდით, რომ ეს საკითხი ბევრ ადამიანს ეხება და ბევრი ღელავს“.

ვარდიაშვილს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში კომპანიის ქმედება სამართლიანი არაა:

„ტარიფები იყოფა საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების ტარიფებად. გვაქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც ქირავდება ფართები საკუთარი საცხოვრებლის შიგნით. მაგალითად, არის ინდივიდუალური, კერძო ბინები, რომელშიც ერთი ოთახი ქირავდება ტურისტებისთვის, დანარჩენ ფართში კი მესაკუთრეები ცხოვრობენ. არის ჩვეულებრივი კორპუსის ბინები, სადაც ერთი ოთახია გადატიხრული და მოქალაქეს გასაქირავებლად აქვს მოწყობილი. მიგვაჩნია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევებში საყოფაცხოვრებო მიზანი არ იცვლება. წყლით მოხმარების საქმიანობა არ წარმოადგენს ამ პირების ძირითად საქმიანობას. მაგალითად, იქ ხომ არ არის სამრეცხაოები, საცურაო აუზები და ა.შ. აქ არის საცხოვრებელი ფართი, საცხოვრებელი მიზნით გაქირავება, რაც წყლის მოხმარების მიზანს არ ცვლის. ამდენად, მივიჩნევთ და მარეგულირებელი კომისიის წინაშე ვშუამდგომლობთ, რომ „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიერ განხორციელებული დარიცხვები მომხმარებლებს ჩამოაწეროს და ზოგადად, მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც შეესაბამება მომხმარებლის ინტერესებს“.

როგორც ვარდიაშვილი განმარტავს, საკითხის განხილვა მარეგულირებელ კომისიაში აქტიურ ფაზაშია შესული.

ᲠᲐᲡ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ GWP-ᲨᲘ?

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ GWP-ში განმარტავენ, ბინათმესაკუთრეები, რომლებიც აქირავებენ ბინას, ეწევიან ჩვეულებრივ კომერციულ საქმიანობას:

„ბინათმესაკუთრეები, რომლებიც აქირავებენ ბინას, ეწევიან ჩვეულებრივ კომერციულ საქმიანობას. შესაბამისად, ისინი არიან არასაყოფაცხოვრებო მოხმარებლები და სემეკის 32-ე დადგენილების თანახმად, წყალმომარაგების საფასური უნდა გადაიხადონ არასაყოფაცხოვრებო, კომერციული ტარიფით. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის №32 დადგენილების თანახმად, საყოფაცხოვრებო მომხმარებელია ფიზიკური პირი, რომელიც სასმელ წყალს ყიდულობს და მოიხმარს მხოლოდ საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის; საყოფაცხოვრებო მომხმარებლის გარდა, ყველა სხვა მომხმარებელი არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელია და სარგებლობს კომერციული ტარიფით“.

„ᲐᲥᲪᲔᲜᲢᲘ“

ᲰᲐᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲑᲘᲜᲫᲣᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲛᲙᲐᲪᲠᲓᲔᲑᲐ

„ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ �პᲐᲙᲔᲢᲘ, რომელიც მშენებლობის პროცესში რეგულაციების გამკაცრებას ეხება, უკვე მომზადებულია და ის პარლამენტს მალე გადაეგზავნება“, — განაცხადა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე.

თბილისის მერმა იმედი გამოთქვა, რომ საკანონდებლო ორგანო მხარს დაუჭერს მათ მიერ ინიცირებულ საკანონმდებლო ცვლილებებს, რადგან, მისი თქმით, ჰაერის მტვრით დაბინძურება ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა.

„ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა არის ჰაერის მტვრით დაბინძურება. ამის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზს წარმოადგენს თბილისში მიმდინარე მასშტაბური მშენებლობები, სამშენებლო მოედნები, ამტვერებადი მასალების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით გადაზიდვის, განთავსების, დამუშავებისა და რეალიზაციისთვის სპეციფიკური რეგულაციების არარსებობა. ეს არის დღეს სერიოზული პრობლემა. ჩვენ ამაზე უკვე ვისაუბრეთ. ჯგუფს დავალებაც ჰქონდა მიცემული, შესაბამისი ცვლილებები განეხორციელებინა კანონდებლობაში. ეს პაკეტი უკვე მომზადებულია, რომელსაც უახლოეს მომავალში გადავცემთ პარლამენტს. დარწმუნებული ვარ, პარლამენტის მხრიდან იქნება მაქსიმალური მხარდაჭერა და თანადგომა, რომ ეს ცვლილებები განვახორციელოთ. მნიშვნელოვანია, რომ ამტვერებადი მასალიდან მყარი ნაწილაკების გარემოში მოხვედრა თავიდან ავირიდოთ. სწორედ აქედან გამომდინარე მომზადდა ეს კანონპროექტი. მშენებლობის პროცესში ამტვერებისგან დამცავი ბადეების განუთავსებლობა, მშენებლობის პროცესში ამტვერებადი მასალის სველი მეთოდის გარეშე დამუშავება, ამტვერებადი მასალის გადაუხურავი ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაზიდვა, განთავსებისას ამტვერებადი მასალისგან წარმოქმნილი მყარი ნაწილაკების გარემოში მოხვედრა, ამტვერებადი მასალის გადაუხურავ სივრცეში განთავსება და რეალიზაცია — აღნიშნულ ყველა მიმართულებაზე სანქციები გამკაცრებული იქნება. დიდი იმედი მაქვს, რომ ამ კანონპროექტს პარლამენტში ძალიან დიდი მხარდაჭერა ექნება“, — განაცხადა კახა კალაძემ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲙᲘᲜᲝᲡ ᲠᲣᲙᲐᲖᲔ...

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲛ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲘᲜᲝ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲐᲤᲐᲡᲝᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐ

ᲘᲪᲝᲓᲘᲗ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲤᲘᲚᲛᲘ „ᲨᲔᲣᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲘᲡᲘᲐ“ ᲩᲐᲓᲘᲡ ᲫᲕᲔᲛᲜᲐᲨᲘ, ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ 200-ᲓᲐᲜ 250 %-ᲛᲓᲔ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ?! ᲐᲘ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲙᲐᲓᲠᲨᲘ ᲡᲣᲚ ᲮᲣᲗᲘ ᲬᲣᲗᲘᲗᲐᲪ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲔᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ 250%-ᲘᲐᲜ ᲖᲠᲓᲐᲡ, ᲠᲐᲛᲐᲪ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲘᲡᲔ ᲒᲐᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲝᲡ ᲫᲕᲔᲛᲜᲐ, ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐᲪ ᲙᲘ ᲐᲠ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲬᲔᲕᲐ ᲒᲐᲒᲕᲘᲭᲘᲠᲓᲔᲡ.

● ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲔᲗᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲪᲜᲝᲑᲐᲓᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲐᲪ ᲘᲥ ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘ „ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ“ ᲡᲪᲔᲜᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲦᲔᲡ. ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘᲪ 200 %-ᲘᲗ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ;

● ᲐᲮᲐᲚ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ, „ᲑᲔᲭᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲔᲚᲘᲡ“ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ. ᲗᲔᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲔᲑᲘ;

● ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲖᲔ ᲒᲔᲢᲧᲕᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲡ�გᲐᲕᲡᲐᲓ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲓᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲠᲘ�გᲨᲘᲐ. ᲙᲘᲜᲝᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲐᲨᲘ ᲐᲡᲘᲐᲗᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲐ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 2017 ᲬᲔᲚᲡ ᲑᲝᲚᲘᲕᲣᲓᲨᲘ 1986 ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲦᲔᲡ, ᲛᲐᲗᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ (2 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓ ᲓᲝᲚᲐᲠᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ) 43% ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲐᲖᲠᲘᲓᲐᲜ ᲘᲥᲜᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ.

● ᲐᲠᲪᲗᲣ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲐᲥᲢᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲜᲘ�გᲔᲠᲘᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲐᲨᲘ, ᲑᲝᲚᲘᲕᲣᲓᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢ ᲤᲘᲚᲛᲡ ᲘᲦᲔᲑᲔᲜ. ᲒᲐᲔᲠᲝᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲘᲗ, ᲜᲘ�გᲔᲠᲘᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ ᲜᲝᲚᲘᲕᲣᲓᲘ ᲔᲬᲝᲓᲔᲑᲐ, ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ 590 ᲛᲘᲚᲘᲝᲜ-ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲐᲜ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲡ ᲰᲥᲛᲜᲘᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ 35-45 ᲤᲘᲚᲛᲡ ᲘᲦᲔᲑᲔᲜ. BBC-ᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, ᲜᲘ�გᲔᲠᲘᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ �გᲐᲓᲐᲘᲦᲔᲑᲐ 25,000-70,000 ᲛᲚᲜ ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲯᲓᲔᲑᲐ, ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝ�გᲔᲑᲐ ᲙᲘ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲡ.

ᲰᲝᲚᲘᲕᲣᲓᲘᲡ �გᲐᲠᲓᲐ ᲙᲘᲜᲝᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲐᲠᲐᲔᲠᲗ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲓ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲐᲓᲐᲐ ᲛᲘᲩᲜᲔᲣᲚᲘ. ᲤᲘᲚᲛᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲙᲝᲛᲞᲝᲜᲔᲜᲢᲘᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲛ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲙᲘᲜᲝᲖᲔ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲡᲐᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲜᲐᲐᲓᲠᲔᲕᲘᲐ. ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲠᲝᲓ, ᲗᲣ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲛᲝᲒᲕᲐᲠᲓᲔᲑᲐ, ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲐᲖᲐᲠᲘ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲐᲨᲘ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲝᲰᲡᲕᲓᲔᲑᲐ.

ᲔᲥᲞᲔᲠᲢᲔᲑᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲛ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲘᲜᲝ ᲨᲔᲐᲤᲐᲡᲝᲡ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲔᲚᲘ. ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲐᲛ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲓᲦᲔᲡ ᲙᲘᲜᲝ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲬᲐᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲐᲨᲘ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲝᲰᲡᲕᲓᲔᲑᲐ.

ᲔᲥᲞᲔᲠᲢᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲛ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲘᲜᲝ ᲨᲔᲐᲤᲐᲡᲝᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲔᲚᲘ. ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲐᲛ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲓᲦᲔᲡ ᲙᲘᲜᲝ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲬᲐᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲝᲰᲡᲕᲓᲔᲑᲐ.

ᲗᲣ ᲠᲐᲢᲝᲛ? — ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ „ᲙᲘᲜᲝᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ“ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲡ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲕᲐᲨᲐᲫᲔᲡ ᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲗ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲕᲐᲨᲐᲫᲔ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲐᲕᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲐᲠᲐᲔᲠᲗ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲓ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲐᲓᲐᲐ ᲛᲘᲩᲜᲔᲣᲚᲘ. ᲤᲘᲚᲛᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲙᲝᲛ�პᲝᲜᲔᲜᲢᲘᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲛ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲙᲘᲜᲝᲖᲔ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲔᲚᲘ. ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲜᲐᲐᲓᲠᲔᲕᲘᲐ. ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲠᲝᲓ, ᲗᲣ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲛᲝᲒᲕᲐᲠᲓᲔᲑᲐ, ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲐᲖᲐᲠᲘ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲗᲐᲒᲐᲚᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲐᲨᲘ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲝᲰᲡᲕᲓᲔᲑᲐ.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲕᲐᲨᲐᲫᲔ: „ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲐᲓ, „ᲙᲘᲜᲝ-ᲪᲔᲜᲢᲠᲘ“, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ, ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ �გᲐᲮᲚᲐᲕᲗ 6 ᲛᲚᲜ. ᲚᲐᲠᲘ, ᲠᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲣᲞᲔᲠ ᲪᲝᲢᲐ ᲗᲐᲜᲮᲐ. ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ, ᲡᲮᲕᲐᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲕᲐᲩᲘᲜᲝ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲛᲪᲘᲠᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲮᲐᲢᲝ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲐᲛ ᲗᲐᲜᲮᲘᲗ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ. ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲐᲜᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲙᲘᲜᲝᲪᲔᲜᲢᲠᲡ. ᲐᲛ ᲗᲐᲜᲮᲘᲗ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲢᲘ�პᲘᲡ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ (ᲡᲠᲣᲚᲛᲔᲢᲠᲐᲟᲘᲐᲜᲘ, ᲛᲝᲙᲚᲔᲛᲔᲢᲠᲐᲟᲘᲐᲜᲘ, ᲓᲝ�კᲣᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲓᲐ Ა.Შ), ᲐᲡᲔᲕᲔ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲐ ᲙᲘᲜᲝᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲔᲑᲖᲔ... ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲙᲘᲜᲝᲡ ᲣᲧᲣᲠᲔᲑᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲠᲩᲐ. ᲐᲠ ᲐᲦᲘᲥᲕᲐᲛᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲔᲚᲡ. ᲐᲛ ᲙᲣᲗᲮᲘᲗ ᲔᲠᲗᲐᲓᲐᲠᲗᲘ ᲞᲠᲔᲪᲔᲓᲔᲜᲢᲘ ᲛᲝᲮᲓᲐ „ᲒᲐᲓᲐᲘᲦᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ“ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ. ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲒᲕᲭᲘᲠᲓᲐ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲔᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲙᲝᲛ�პᲝᲜᲔᲜᲢᲘᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ. ᲘᲛᲔᲓᲘᲐ, ᲛᲗᲚᲘᲐᲜ ᲙᲘᲜᲝᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲐᲡ ᲛᲘᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲗᲐᲜᲘ ᲓᲐᲠᲒᲘ, ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲐ, ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ Ა.Შ. ᲑᲔᲕᲠ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲓᲔᲒᲖᲔ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ ᲕᲘᲡᲐᲣᲑᲠᲝ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲘᲗᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲡᲮᲡᲜᲔᲑᲐᲪ ᲙᲘ ᲒᲐᲛᲘᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ“.

„ᲙᲝᲛᲔᲠᲡᲐᲜᲢᲘ“ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲓᲐ, ᲠᲐᲡ �გᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲡ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲕᲐᲨᲐᲫᲔ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ — „ᲐᲠᲐᲛᲮᲚᲝᲚᲝᲓ“, ᲐᲜᲣ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲐᲓ ᲠᲐ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲡ ᲛᲝᲛᲢᲐᲜᲘᲐ ᲙᲘᲜᲝ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ. ᲘᲠᲙᲕᲔᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲐᲛᲝᲜᲐᲗᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲙᲐᲛᲝᲓ ᲛᲘᲛᲖᲘᲓᲕᲔᲚᲘ, ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲓᲐ ᲠᲐᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘᲐ:

ᲫᲕᲔᲛᲜᲘᲡ ᲞᲝ�პᲣᲚᲐᲠᲘᲖᲐᲪᲘᲐ — ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ 15% ᲙᲘᲜᲝᲢᲣᲠᲘᲖᲛᲖᲔ ᲛᲝᲓᲘᲡ. ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲔᲜ ᲘᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲦᲔᲡ. ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘ ᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲠᲐᲪ ᲓᲐᲘᲜᲔᲠ�გᲐ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ „ᲒᲐᲓᲐᲘᲦᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ“ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲓᲐᲜ, ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲓᲐᲜ, ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲓᲐᲜ;

ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ — ᲙᲘᲜᲝᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲘᲚᲘ ᲡᲤᲔᲠᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲐᲛᲠᲐᲕ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐᲡ ᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲡ;

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ — ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲙᲘᲜᲝᲛ ᲣᲙᲕᲔ ᲨᲔᲫᲚᲝ, ᲐᲠᲐᲔᲠᲗ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ ᲒᲐᲔᲛᲐᲠᲯᲕᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲞᲝ�პᲣᲚᲐᲠᲘᲖᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲗᲘ ᲣᲡᲛᲮᲕᲘᲚᲔᲡᲘ ᲙᲘᲜᲝᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲓᲔᲑᲘᲐᲜ;

ᲡᲐᲫᲝᲜᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲧᲘᲓᲕᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ — ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲔᲑᲘ, ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲜᲔᲑᲘ, ᲣᲫᲠᲐᲕᲘ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲧᲘᲓᲕᲐ-�გᲐᲥᲘᲠᲐᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ Ა.Შ.

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ — ᲠᲝᲒᲝᲠᲪ „ᲙᲝᲛᲔᲠᲡᲐᲜᲢᲡ“ „ᲒᲐᲓᲐᲘᲦᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ“ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲛᲐ ᲗᲐᲗᲘᲐ ᲑᲘᲫᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲒᲐᲜᲣᲛᲐᲠᲗᲐ, ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲛᲐ ᲝᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ 37 ᲛᲚᲜ. ᲚᲐᲠᲘᲡ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲖᲘᲓᲕᲐ ᲨᲔᲫᲚᲝ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲪ ᲛᲗᲚᲘᲐᲜ ᲙᲘᲜᲝᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲢᲔᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ 24-ᲓᲐᲜ 54 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲐᲛᲓᲔᲐ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘ. ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲪ

რუსეთთან ულტიმატუმის ენით ლაპარაკი ჩვენი პოლიტიკური სიბეცეა!

დაპირისპირება, რომელმაც მსოფლიოს დიდი პრობლემები შეიძლება შეუქმნას

ᲩᲕᲔᲜ, ᲣᲡᲣᲡᲣᲠ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲕᲐᲮᲡᲝᲕᲓᲔᲡ ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲗᲐᲜ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲝᲑᲐ. ᲧᲣᲠᲘ ᲓᲐᲕᲣᲒᲓᲝᲗ ᲛᲘᲡ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲡ, ᲜᲣ ᲐᲕᲘᲒᲓᲔᲑᲗ ᲛᲐᲡᲮᲠᲐᲓ. ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲨᲘ ᲐᲨᲨ-Ს ᲕᲮᲔᲓᲐᲕᲗ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲢᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲓ ᲐᲦᲕᲘᲥᲕᲐᲛᲗ, ᲐᲠ ᲘᲫᲚᲔᲕᲐ ᲛᲢᲠᲐᲓ ᲥᲪᲔᲣᲚᲘ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲘᲡ ᲒᲐᲥᲘᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲡ – ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲤᲐᲡᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ.

ᲡᲘᲠᲘᲐᲨᲘ, რუსეთის სამხედრო-საჰაერო ბაზაზე თავდასხმის მცდელობა, რომელსაც ტერორისტების მიერ გაშვებული უპილოტო მფრინავი აპარატების (47) განადგურება მოჰყვა, ახლახან გააჟღერა რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ. ინციდენტი წლეულს, იანვარში მოხდა, რომ არა ავიაბაზის დამცავი რადიო-ელექტრონული სისტემა, ბაზაზე არსებული რუსული სამხედრო თვითმფრინავები მძიმე განსაცდელში აღმოჩნდებოდნენ.

ტერორისტების მიერ უპილოტო მფრინავი აპარატების გამოყენება არახალია, ისე, როგორც ტერორისტებისთვის აღნიშნული აპარატების მიწოდების თემა. მიმწოდებელიც ცნობილია – აშშ, ისე, როგორც ცნობილია მფრინავი აპარატების მაკოორდინირებელი ამერიკული მზვერავი თვითმფრინავი, რომელიც 8 საათის განმავლობაში დასტრიალებდა თავს იმ არემარეს.

ამ განცხადებიდან ორი დღით ადრე, კრემლში მყოფმა აშშ-ის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა ჯონ ბოლტონმა რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან შეხვედრის დროს ბრძანა, რომ ზეთისხილის სამშვიდობო შტოთი არ ჩასულა მოსკოვში.

ბოლტონის მოსკოვში ვიზიტამდე აშშ-ის პრეზიდენტმა ტრამპმა განაცხადა, რომ გადის სსრკ-აშშ-ის მიერ 1987 წელს დადებული ხელშეკრულებიდან, რომელიც ითვალისწინებდა საშუალო (5500 კმ) და მოკლე (500 კმ) რადიუსის ბირთვული რაკეტების ლიკვიდაციას.

გადაწყვეტილება მიღებულია და როგორც ჩანს, მას ვერ შეაჩერებს პუტინ-ტრამპის ა.წ. 11 ნოემბრის პარიზის მოსალოდნელი შეხვედრა. მოტივი ხელშეკრულებიდან გასვლისა არის ტრადიციული – **რუსეთი არღვევს ხელშეკრულებას**.

რა იქნება ხელშეკრულებიდან აშშ-ის გასვლის შემდეგ?

ამერიკის მიერ საშუალო და მოკლე რადიუსის რაკეტების დამზადება. არადა, 1987 წლის შემდეგ (ხელშეკრულების დადების თარიღი) ორივე მხარემ: აშშ-მა 800-ზე მეტი, სსრკ-მა 1000-ზე მეტი ამ სახის იარაღი გაანადგურეს. მაშინ აღნიშნულ ხელშეკრულებას ხელი ორი ქვეყნის მეთაურმა რეიგანმა და გორბაჩოვმა მოაწერეს.

ორივემ ხელშეკრულება ისტორიულად მოიხსენიეს და იმედი გამოთქვეს მის მარადიულობაში. მათი წინასწარმეტყველება არ გამართლდა. 30 წლის შემდეგ ვითარება მკვეთრად იცვლება გამალებული შეიარაღების სასარგებლოდ. ხელშეკრულებიდან გასული აშშ შეუდგება ამ სახის რაკეტების დამზადებას, ისევე, როგორც რუსეთი – კონტრმოქმედებას.

ტრამპის გადაწყვეტილებამ განსაკუთრებით შეაშფოთა ევროპელი ლიდერები, ვინაიდან, უპირველესად, მათთვის იყო გამიზნული საშუალო და მოკლე რადიუსის რაკეტების განადგურება. როგორც ჩანს, ამერიკელთა წყალობით ევროპის კონტინენტი ისევ ბირთვული, ცხადია, უფრო დახვეწილი იარაღის მძევალი გახდება – ერთი მხრივ, მისი „დამცველი“ აშშ-ის, ხოლო მეორე მხრივ „აგრესორი“ რუსეთის მხრიდან.

ბოლტონის მოსკოვში ვიზიტის დროს სწორედ ეს საკითხი იყო მთავარი განხილვის საგანი, თუმცა უშედეგოდ, რის შესახებაც რუსეთის პრეზიდენტმა საჯაროდ განაცხადა – „მათ გადაწყვეტილება მიღებული აქვთ და ახლის დასამზადებლად მსხვილი თანხებიც არის გათვალისწინებული აშშ-ის ბიუჯეტში“.

> **საშუალო და მოკლე მანძილის ბირთვული რაკეტების აღორძინება კარგს არაფერს უქადის მსოფლიოს, განსაკუთრებით იმათ, ვისზეც ეს რაკეტები იქნება დამიზნებული. აშშ-ი, რუსეთის შეტევიდან ევროპელი მოკავშირეების დაცვის მიზნით, რაკეტებს რუსეთის საზღვრებთან განალაგებენ, რითაც მკვეთრად შეამცირებენ რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ ობიექტებამდე ფრენის მანძილს და დროს. რუსეთს აღარ დარჩება საკუთარი ანტისარაკეტო სისტემების ადეკვატური ამოქმედების საშუალება. ერთადერთი რაც მას ექნება – ხელოვნური ინტელექტის ანუ ავტომატიკის პასუხია. კაცობრიობის ყოფნა-არყოფნის ბედს რობოტი გადაწყვეტს.**

ᲕᲐᲚᲓᲐᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲝᲠᲣᲛᲖᲔ �პᲣᲢᲘᲜᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ: „ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲐᲪ ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐᲕᲠᲬᲛᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲘᲔᲠᲘᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲖᲔ ᲛᲝᲐᲫᲕᲗ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲜᲕᲐᲮᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲗ ᲡᲐ�პᲐᲡᲣᲮᲝ ᲓᲐᲠᲢᲧᲛᲐᲡ... ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲓᲔᲑᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲜᲘ, ᲡᲐᲛᲝᲗᲮᲔᲨᲘ ᲛᲝᲕᲮᲓᲔᲑᲘᲗ, ᲮᲝᲚᲝ ᲘᲡᲘᲜᲘ – ᲩᲐᲫᲐᲚᲓᲔᲑᲘᲐᲜ“.

ძნელია, ივარაუდო, რომ რუსეთის პრეზიდენტმა იხუმრა... დავუშვათ, იხუმრა, მაგრამ ისიც დავუშვათ, რომ ყველა ხუმრობაში ჭეშმარიტების მარცვალია. პუტინს აქვს საყვედურის საბაბი, ვინაიდან მისი მხრიდან არაერთი თხოვნა ამერიკელების მიმართ მოლაპარაკების გამართვის თაობაზე, უშედეგო გამოდგა. ნაცვლად დიალოგისა მან მიიღო ტრამპის გადაწყვეტილება – ისტორიული ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე.

ტრამპის პოლიტიკას, განსაკუთრებით ტაქტიკას მსოფლიო მიეჩვია. მოწინააღმდეგის კრიტიკა, ლანძღვაც კი (გავიხსენოთ ჩრდილო კორეის ლიდერი კიმ ჩენ ინი), ხოლო შემდეგ, უკვე „გამარჯვებულის“ პოზიციიდან დიალოგის დაწყება.

ჩრდილო კორეა და მისი მოკრძალებული ბირთვული არსენალი სხვაა, ხოლო ბირთვული შეიარაღებით აშშ-ის ტოლ-სწორი რუსეთი – სხვა. ნაცვლად მილიტარისტული ნაბიჯისა, რაც აშკარად იკვეთება ხელშეკრულებიდან გასვლით, უმჯობესი იქნებოდა ხელშეკრულების პარტნიორთან, ანუ რუსეთთან მოლაპარაკების დაწყება – ხელშეკრულების არა გაუქმების, არამედ შეცვლის მიზნით, ვინაიდან 30 წლის წინათ დადებული ხელშეკრულების შემდეგ მსოფლიომ, სამხედრო თვალსაზრისით, სერიოზული ცვლილება განიცადა. თუ მაშინ საშუალო და მოკლე რადიუსის ბირთვული რაკეტების წარმოება მხოლოდ აშშ-ს და სსრკ-ს შეეძლოთ, დღეს ამის პოტენციალი ბევრს აქვს, განსაკუთრებით ჩინეთს. სწორედ ამიტომ ახსენა ტრამპმა რუსეთთან ერთად ჩინეთიც.

აშშ-ის პრეზიდენტის თვალთახედვით, უნდა გაიმართოს მოლაპარაკება, რომელშიც რუსეთთან ერთად ჩინეთიც მიიღებს მონაწილეობას. წინააღმდეგ შემთხვევაში აშშ დაიწყებს ამ კატეგორიის რაკეტების დამზადებას და უპირველესად, ევროპაში განლაგებას. არ არის გამორიცხული მათი უკრაინაში განლაგებაც, უკრაინის მაგალითზე – საქართველოშიც.

საქართველოს მეგობარი უკრაინა მზადაა ნებისმიერი სახის ამერიკული იარაღის საკუთარ ტერიტორიაზე განსალაგებლად, ოღონდ ის რუსეთზე იყოს დამიზნებული. არანაკლები „სიყვარული“ აქვს ჩვენს ქვეყანას რუსეთის მიმართ, რაც განუზომელ საფრთხეს შეუქმნის მას.

მოსკოვის ერთ-ერთ ცენტრალურ ტელეარხზე აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით გამართულ თოქ-შოუში ჟურნალისტის მიერ დასმულ კითხვას – რა უნდა გააკეთოს რუსეთმა, თუ აშშ რაკეტებს უკრაინაში განალაგებს – რუსმა სამხედრო ექსპერტმა ასე უპასუხა: „განლაგებისთანავე უნდა გავანადგუროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში გავნადგურდებით“.

რას ნიშნავს განადგურება? – ომს ხომ არა?

მსგავსი განცხადებები არცთუ იშვიათად ისმის რუსულ მედიაში, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან კუთხეში მიყენებული ბირთვული რუსეთი თავის გადარჩენას შეეცდება და თუ ეს ვერ მოახერხა, არ დაზოგავს მოწინააღმდეგეს, რაც კარგად გამოიკვეთა პუტინის განცხადებაში.

თანამედროვე მსოფლიო, ისე, როგორც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი თანაბრობის პრინციპებს ეყრდნობა. ბალანსის ოდნავი დარღვევა გამოიწვევს ან აშშ-ის, ან რუსეთის პრიორიტეტულობას სამხედრო საქმეში, რაც თავისთავად საშუალებას აძლევს პრიორიტეტულს, დაჩაგროს ჩამორჩენილი ქვეყანა. არც ერთ ბირთულ სახელმწიფოს არ ხიბლავს „ჩამორჩენილის“ სტატუსი, მით უმეტეს რუსეთს. ხომ არ ნიშნავს ეს გამალებულ შეიარაღებას?

ტრამპმა ბრძანა, რომ აშშ-ს ბევრი ფული აქვს და სამხედრო მშენებლობა მისთვის პრობლემა არ არის. ეკონომიკური თვალსაზრისით აშშ-ზე ქვემოთ მდგომი რუსეთისთვის „ბევრი ფული“ საოცნებოა, თუმცა სამხედრო პარიტეტის შენარჩუნებისთვის ის თავს არ დაზოგავს.

მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები გვეუბნება, რომ ვითარება გაცილებით დაძაბულია, ვიდრე ოდესმე „ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ. განსაკუთრებული „სიცივე“ იგრძნობა აშშ-სა და რუსეთს შორის, რასაც ხელს უწყობს და აღვივებს უკრაინის რუსეთთან შერკინება – აშშ-ის დირიჟორობით; სირიის ომი და მასში რუსეთის მოქმედება; აშშ-სა და ირანის დაპირისპირება და რუსეთის ირანისადმი მხარდაჭერა; რუსეთისთვის ქიმიური იარაღის გამოყენების დაბრალება და სხვა მრავალი.

ასეთ ვითარებაში ყურადღების ოდნავმა მოდუნებამ, მცდარი ნაბიჯის გადადგმამ მსოფლიო კატასტროფა შეიძლება გამოიწვიოს, რაც თავისთავად მოგვიწოდებს ყველას, მათ შორის ჩვენც – ვიყოთ ზომაზე მეტად ფრთხილნი, ვილაპარაკოთ მოზომილად, დაფიქრებით.

ჩვენ, უსუსურ საქართველოს მუდამ უნდა გვახსოვდეს ბირთვულ სახელმწიფოსთან მეზობლობა. ყური დავუგდოთ მის ნათქვამს, ნუ ავიგდებთ მასხრად. ის, რომ ჩვენს გვერდში აშშ-ს ვხედავთ და ბოლტონის ჩამოსვლას უდიდეს პოლიტიკურ მოვლენად აღვიქვამთ, არ იძლევა მტრად ქცეული მეზობლის გაქილიკების საშუალებას – მით უმეტეს მისი შესაძლებლობების შეუფასებლობას.

მუდამ გვახსოვდეს ერთი და უმთავრესი რამ – სახელმწიფოთა პოლიტიკაში მთავარი არა მეგობრობა, არამედ ინტერესებია. ამის ნათელი დასტური იკვეთება აშშ-ის საქართველოსთან დამოკიდებულებაში.

საქართველოს არაუმეტეს 30 წლის ურთიერთობა აქვს აშშ-თან. ამ არცთუ მოკლე დროის მანძილზე თვალი უნდა აგვხელოდა და დაგვენახა, რომ ზემოთ მოყვანილი „მეგობრობა“ და „ინტერესი“ არათუ განსხვავებული შინაარსის მატარებელია, არამედ ფუნდამენტია დიდი და ძლიერი ერთი ქვეყნის, სუსტ და პატარა ქვეყანასთან ურთიერთობაში.

სხვათა მაგალითს თუ გავიზიარებთ, განსაკუთრებით მეზობელი აზერბაიჯანისას, უმალ შევნიშნავთ ოსტატი ჯამბაზის მოხერხებულ ტრიუკს ჰაერში გაჭიმულ თოკზე, როდესაც ის, ყოველგვარი აქეთ-იქით (ირანი, თურქეთი, რუსეთი, აშშ, ევროკავშირი) გადახრა-გადმოხრის ნაცვლად, მიემართება წინ და საკუთარი შრომით, უნარით, გონებით ჭრის ქვეყნის წინაშე არსებულ პრობლემებს.

აზერბაიჯანს აქვს პრობლემები დაახლოებით ისეთი, როგორიც ჩვენ – დაკარგული ტერიტორიები, მაგრამ მას არასდროს გაუკეთებია საკუთარი თავის ჩიხში მოსაქცევი განცხადება, რასაც ჩვენ ვაკეთებთ 2008 წლიდან დაწყებული დღემდე. დაახლოებით ასეთს, ჩვენმა საგარეო უწყებამ რომ უპასუხა რუსეთის ანალოგიური უწყების ოფიციალური წარმომადგენლის ზახაროვას განცხადებას: „რუს და ქართველ ხალხებს ერთმანეთი ჰაერივით სჭირდებათ. სახეზეა კოლოსალური მოთხოვნილება, მათ შორის საქართველოს მხრიდან, ორმხრივი ურთიერთობების განვითარებისთვის“.

საქართველოს პასუხი: „სიტუაციის დეესკალაციის ერთადერთი წინაპირობა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის უკანონო ქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტა... 2008 წლის 12 აგვისტოს დადებული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესრულება და სამხედრო ფორმირებების საქართველოს ტერიტორიებიდან სრული გაყვანა“.

დიპლომატიაში არცთუ ჩახედული ადამიანისთვისაც ეს განცხადება ულტიმატუმის მსგავსია და ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნის, თითქოს საქართველო ძლიერი, ბირთვული სახელმწიფოა, რომლის თითის ქნევამ შიში თუ არა, რიდი მაინც უნდა გამოიწვიოს მოპაექრე ქვეყანაში!

ამ მცდარი პოლიტიკით გაგვყავს დრო, ერთობ მნიშვნელოვანი ერთიანობის მსურველი საქართველოსთვის. ჯიბრში დგომით, ვიღაცის დაკრულზე ცეკვით, საკუთარი პრობლემების მოგვარება შეუძლებელია. იქნებ, ახალმა პრეზიდენტმა გამოიჩინოს გონიერება და გადადგას ნაბიჯი „ნაცთაგან“ განსხვავებული, ქვეყნისა და ერის სასიკეთოდ.

ᲰᲐᲛᲚᲔᲢ ᲩᲘᲞᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
პოლიტოლოგი.

ქართველების უმსგავსო საქციელი და რუსი ჟურნალისტის პასუხი

საქართველოში მომუშავე დამოუკიდებელი რუსი ჟურნალისტი ალექსანდრე ორლოვი 30 ოქტომბერს პრეზიდენტობის კანდიდატ სალომე ზურაბიშვილის ბრიფინგზე მომხდარ ინციდენტს ეხმიანება.

საქმე ბრიფინგის შემდეგ ფოტორეპორტიორ აბდალაძის, დეპუტატ ზვიად კვაჭანტირაძისა და სხვათა მიერ მის მიმართ გამოვლენილ აგრესიას ეხება, რის შემდეგაც იგი საარჩევნო შტაბის შენობიდან საერთოდ გააძევეს.

კადრებში ნათლად ჩანს, როგორი დაჟინებითა და ზეწოლით ცდილობს აბდალაძე, აპასუხებინოს საქართველოსადმი არაერთგზის გამოხატული ლოიალურობითა და პუტინის რეჟიმისადმი მწვავე კრიტიკით ცნობილ რუს ჟურნალისტს კითხვებზე — „არის თუ არა რუსეთი ოკუპანტი“ და „არის თუ არა პუტინი ХУЙло“. ამასთან, აბდალაძე ორლოვს ხელითაც ეხება და სალომე ზურაბიშვილის კონკურენტ გრიგოლ ვაშაძის მსგავსად, ГРУ-ს აგენტს“ უწოდებს.

ორლოვმა ფოტორეპორტიორს პასუხი მოგვიანებით გავრცელებულ ვიდეოგოლში გასცა:

„მთავარი შედეგი რუსეთისთვის: როგორ მოვახერხეთ, შეგვექმნა საკუთარი ქვეყნისთვის ისეთი რეპუტაცია, რომ მისი სახელით აშინებდნენ ერთმანეთს საქართველოში პოლიტიკური ოპონენტები? ორივე ბანაკი ასეა: სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ განაგრძობს ბრძოლას, რათა „არ დაუთმოს საქართველო ვაშაძესა და რუსეთს“, მიუხედავად მისი პოლიტიკური ოპონენტების „რუსული ტექნოლოგებისა“. ვაშაძის შტაბში კი სწორედ ის ახალგაზრდები დამხვდნენ, რომლებიც ატარებენ კამპანიას სლოგანით „რუსეთი ოკუპანტია“. დღეს აქ — სალომე ზურაბიშვილის შტაბში, როგორც კადრებში ნახეთ, სწორედ ეს კითხვა დამისვეს: არის თუ არა რუსეთი ოკუპანტი? ამასთან, ოპოზიციის საპრეზიენტო კანდიდატი რუსული ГРУ-ს აგენტობაში დაადანაშაულეს. მეორე მხარე კი ზურაბიშვილს იმაში ადანაშაულებს, რომ მას „დაგეგმილი აქვს, საქართველო რუსეთს ჩააბაროს“. გამაგებინეთ, ეს როგორ მოვახერხეთ რუსებმა?! აი, როცა ასე მექცევიან, შიშს კი არ ვგრძნობ, ვგრძნობ სირცხვილს... გადასარჩენი გვყავს, ხალხო, რუსეთი! რაღაც სასწრაფოდ უნდა შევცვალოთ!

ბოლოს იმ კაცსაც მინდა, ვუპასუხო, რომელიც ბრიფინგის შემდეგ გადამეკიდა კითხვებით, არის თუ არა რუსეთი ოკუპანტი და არის თუ არა პუტინი ХУЙло: დიახ, რა თქმა უნდა, არის! უბრალოდ ასეთ ვითარებაში, ასეთი ზეწოლის პირობებში კითხვებს არც ერთი თავმოყვარე ადამიანი არ პასუხობს“, — ამბობს ორლოვი.

ნაცების მობრუნების შიშმა

განსაკუთრებით მეწარმეები დაუფრთხო

როგორ შეხვდა ბიზნესი ბოლო წლები ყველაზე დაძაბულ არჩევნებს? ვითარება ამ კუთხით სახარბიელო არ არის. დაძაბულობა იგრძნობა ყველგან და ინვესტორები მაქსიმალური ყურადღებით აკვირდებიან მოვლენებს. ადგილობრივი მეწარმეები და ბიზნესმენები ვითარების კარდინალურ ცვლილებას უფრთხიან.

„ისთ გეით ჯგუფის“ დამფუძნებლის **ირაკლი იაშვილის** შეფასებით, წინასწარ შედეგებზე დაყრდნობით რთულია საუბარი, თუმცა თუ „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა გაიმარჯვა, მაშინ მეხსიერებაში ის პრობლემები ამოიწევს, რაც ბიზნესს მათი მმართველობის პერიოდში ჰქონდა.

„თუ გრიგოლ ვაშაძის გამარჯვება უდრის იმ პრობლემების უკან დაბრუნებას, რაც მაშინ იყო, ეს საშინელებაა. განცხადებების დონეზე რასაც მე ვისმენდი, ტოლობის ნიშანი არ არის. ამბობენ, გავითვალისწინეთ ის შეცდომებიო. თუმცა, მნიშვნელოვანი რა არის იცით? ის შეცდომა კი არა, ბოროტება იყო“, — განმარტავს იაშვილი.

თუ გაგრძელდება დემოკრატიული პროცესი და მოვლენები კონსტრუქციულად განვითარდა, არაფერი პრობლემა არც ბიზნესისთვის, არც ეკონომიკისთვის და არც ქვეყნისთვის არ იქნება.

„დავით უსუფაშვილს რომ გაემარჯვა, ჩემთვის გასაგები იქნებოდა, რომ რყევები არ იქნებოდა. ამ შემთხვევაში, თუ გაიმარჯვა „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა, ეს ნიშნავს იმას, რომ მათი ხელისუფლებაში დაბრუნების ალბათობა გაიზარდა. თუ მათი მობრუნება უდრის იმას, რასაც აკეთებდნენ თავისი მმართველობის პერიოდში, ეს კატასტროფა იქნება, ქვეყანა ჩამოიშლება. კეზერაშვილები და მსგავსი ხალხი თუ დაბრუნდა უკან და ბიზნესების გადაფორმებების სერია ისევ დაიწყო, ამის წარმოდგენაც არ მინდა“, — აცხადებს იაშვილი.

ბიზნესმენი მომავალ პრეზიდენტს რჩევასაც აძლევს და მოუწოდებს, არ გაიმეოროს წინა ხელისუფლების შეცდომები, რომედსაც ბიზნესი არანორმალურ წნეხში იყო.

შეცდომების აღიარება უწევს ხელისუფლების წარმომადგენლებსაც. დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საზოგადოების განწყობა ვერ აღიქვა და უნდა გამოფხიზლდეს.

„ჩვენ ეს 6 წელი გავიარეთ ისე, როგორც გავიარეთ, ყველა შეცდომა, რომელიც დაშვებული იყო, ადამიანები ხედავენ, მაგრამ არსებობს ობიექტური მიზეზი, რომელსაც ვერავინ გადალახავდა და არსებობს ის, რაც შენი უმოქმედობით არის გამოწვეული ან შენი არა კვალიფიციურობით. თუ მკაფიო სურათს შევუქმნით საზოგადოებას, რა მოხდა რეალურად, ჩვენი წვლილი სადაა, ჩვენი დანაშაული სადაა და თუ დაგვიჯერებენ, რომ ამის სერიოზულ გაანალიზებას ვახდენთ, მაშინ შესაძლოა ისიც დაგვიჯერონ, რომ ჩვენ ამის გამოსწორების უნარი გვაქვს“ , — განაცხადა **რომან კაკულიამ**.

ექსპერტები ბიზნესისთვის არასახარბიელო ვითარებაზე ლაპარაკობენ. არჩევნების მეორე ტურმა ქვეყანაში დაძაბულობის შეგრძნება გააჩინა.

„თუ რამდენიმე კვირაში დასრულდება ეს პროცესი შემდგომი გართულებების გარეშე, მსხვილი ბიზნესისთვისაც საფრთხე გადაივლის. თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ უხმაუროდ ჩაცხრეს პოლიტიკური ვნებათაღელვა, პირიქით, ველოდები, რომ გართულებაც მოჰყვება ამ არჩევნებს, რაც სახარბიელო არ არის საინვესტიციო გარემოსთვის“, — აცხადებს პროფესორი **ვახტანგ ჭარაია** და დასძენს, რომ ასეთ ვითარებაში ინვესტიციების განხორციელება დროში დიდი ხნით გაჭიანურდება.

ბექა დანელია

როცა ადამიანს ღვაწლს უფასებენ...

ასოციაცია „მესხეთის“ გამსვლელი სხდომა ადიგენში

ასოციაცია „მესხეთის“ წევრები იუბილარ მასწავლებელთან, 1970 წლის კურსდამთავრებულებთან და ნორჩ მოცეკვავეებთან ერთად.

ასოციაცია „მესხეთმა“ (თავმჯდომარე — აკადემიკოსი ამირან მექვაბიშვილი) მ/წლის 18 ოქტომბერს მესხეთში, ადიგენის რაიონის სოფელ ლელოვანში რაიონის მუნიციპალიტეტის განათლების რესურსცენტრთან (ხელმძღვანელი — ქალბატონი ინგა ბოჭორიშვილი) ერთად ჩაატარა გაერთიანებული გამსვლელი სხდომა. სხდომა მიეძღვნა ლელოვნის საშუალო (სადღეისოდ საჯარო) სკოლის შექმნის 50 წლის იუბილეს და ამავე სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგის, ქალბატონ მავრა გამეზარდაშვილის შემოქმედების 60 წლისთავს.

სხდომაზე სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ეთერ მეტრეველმა შთამბეჭდავად ისაუბრა ლელოვნის სკოლის შექმნის ნახევარსაუკუნოვან ისტორიაზე, მის დამსახურებასა და ავტორიტეტზე. მანვე ვრცლად ისაუბრა სკოლის ღვაწლმოსილ პედაგოგებზე და, განსაკუთრებით, დამსახურებული მასწავლებლის, ქალბატონ მავრა გამეზარდაშვილის 60-წლიან შემოქმედებაზე; აღნიშნა ქალბატონ მ. გამეზარდაშვილის სადამრიგებლო კლასის 1970 წლის კურსდამთავრებულებზე (21 მოსწავლე), რომლებმაც საქართველოში არსებულ ყველა უმაღლეს სასწავლებელში ჩააბარეს მისაღები გამოცდები და სადღეისოდ ქვეყნის სასიკეთოდ იღვწიან.

სკოლისა და დამრიგებლის მიმართ გულთბილი სიტყვები წარმოთქვეს ეკონომიკის დოქტორმა, აკადემიკოსმა ვაჟა ბერიძემ (თბილისი), მედიცინის დოქტორმა რობიზონ წინწკალაძემ (ქუთაისი), პედაგოგმა ლალი ბუიძემ (ტყიბული), ხელოვანმა ზაური კვატაშიძემ (ადიგენი), ფერმერმა მურად მაჭავარიანმა (კახარეთი), ბიზნესმენმა ალექსანდრე ქარქაშაძემ (თბილისი) და სხვებმა.

გაერთიანებულ სხდომას ესწრებოდნენ რაიონის მუნიციპალიტეტის 20 საჯარო სკოლის დირექტორები. სკოლის პედკოლექტივმა მადლიერებით აღნიშნეს ბატონ ამირან მექვაბიშვილის დიდ ღვაწლზე 1968 წელს ლელოვნის 8-წლიანი სკოლის საშუალო სკოლად გარდაქმნის საქმეში. სხდომაზე დადგა საკითხი ღვაწლმოსილი პედაგოგის, მავრა გამეზარდაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ; ასევე, ბატონ ამირან მექვაბიშვილის საპატიო მოქალაქედ არჩევაზე, რომელიც მთელი 6 წლის განმავლობაში ნაყოფიერად იღვწოდა, როგორც რაიონის პირველი პირი.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვეს ასოციაციის წევრებმა, ბატონებმა: აკადემიკოსმა გურამ გუნავამ და პროფესორმა უშანგი დალალიშვილმა.

გაერთიანებული სხდომა ზეიმში გადაიზარდა. სკოლის მოსწავლეებმა შეესანიშნავად წარმოადგინეს სკოლის სახელოვნებო შემოქმედება. ზეიმი დიდი წარმატებით დაგვირგვინა ადიგენის კულტურის სახლის ანსამბლმა ბაგრატ გავაშელის ხელმძღვანელობით.

ზეიმის შემდეგ ასოციაციის წევრები შეხვდნენ და გაესაუბრნენ სოფლების: ლელოვნის, სამყურის, კახარეთისა და ამხერის მცხოვრებლებს და მოისმინეს მათი პრობლემები.

სხდომას გულწრფელი მხარდაჭერა გამოუცხადა რაიონის მერმა, ბატონმა ზაქარია ენდელაძემ, რომელსაც რაიონის სოციალურ-ეკონომიკური საკითხების თეორიული კვლევის ანალიზისა და პრაქტიკული განხორციელების საქმეში თბილისელმა პროფესორ-აკადემიკოსებმა დახმარება აღუთქვეს.

ვაჟა ბერიძე,
ადიგენი-თბილისი.

ბრიტანელი ღვინის მაგისტრი: ქართული ღვინისთვის 2018 წელი წარმატებული იყო

დიდი ბრიტანეთის **დედაქალაქ ლონდონში ღვინის ინდუსტრიისა და მედიის წარმომადგენლებისთვის ქართული ღვინის დეგუსტაცია გაიმართა. ღონისძიება ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანია „Swirl Wine Group“-ის ორგანიზებით მოეწყო და მასზე კლასიკური და ტრადიციული ქართული მეთოდებით დამზადებული სხვადასხვა დასახელების ღვინოები იყო წარმოდგენილი.**

დეგუსტაციას უძღვებოდა „Swirl Wine Group“-ის ხელმძღვანელი, ბრიტანელი ღვინის მაგისტრი სარა ებოტი. მისი შეფასებით ქართული ღვინისთვის მიმდინარე წელი დიდ ბრიტანეთში წარმატებული იყო.

„ქართულ ღვინოს მიმდინარე წელს დიდ ბრიტანეთში ფანტასტიკური შედეგები ჰქონდა. ბრიტანელმა იმპორტიორებმა და ღვინით მოვაჭრეებმა აღმოაჩინეს ახალი ქართული ღვინოები, გაფორმდა ახალი კონტრაქტები და დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობა. აღნიშნულ დეგუსტაციაზე ფართოდ იყო წარმოდგენილი ქართული ღვინის მრავალფეროვნება წითელი, თეთრი და ქარვისფერი ღვინოების სახით. ქართული ღვინო ბრიტანეთისთვის ახალია, თუმცა ჩვენ მზარდ ინტერესს ვხედავთ მეღვინეების მხრიდან“ — აღნიშნა სარა ებოტმა.

Swirl Wine Group-ის მხარდაჭერითა და ადგილობრივი იმპორტიორების ორგანიზებით, მიმდინარე წლის 8 ნოემბერს ლონდონში „ქვევრის ღვინის ფესტივალი გაიმართება“, რაც ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აქტივობა იქნება.

◎ ჭადრაკი

კაჭარავა მსოფლიოში მეორეა, პეტრიაშვილი – მესამე

ბერძნულ პორტო-კარასში (ჰალკიდიკი) დამთავრდა 14-18-წლამდელ მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატი, სადაც ქართველებმა თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. 14-წლამდელებში ნიკოლოზ კაჭარავამ თერთმეტი შესაძლებლობიდან 9 ქულა მოაგროვა და მეორე ადგილი დაიკავა. ამდენივე ქულას მოუყარა თავი ესპანელმა ანტონიო პედრო ხინესმა, რომელმაც შავი ფიგურებით ალექსანდრ კრასტევს (გერმანია) აჯობა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ აშკარად უმარტივეს საყაიმო პოზიციაში გერმანელმა საეჭვოდ „მცდარი“ სვლა გააკეთა მეფით და ამიტომ დამარცხდა. ესპანელმა მოჭადრაკემ ჩემპიონობა უკეთესი დამატებითი მაჩვენებლებით მოიპოვა. 8 ქულით მესამე ადგილზე კაზიბეკ ნოგერბეკი (ყაზახეთი) გავიდა.

16-წლამდელებში ბრინჯაოს მედალი ნიკოლოზ პეტრიაშვილს ხვდა. ბოლო ტურში მან ბელარუსი ვიაჩესლაუ ზარუბიცკი დაამარცხა. ლიდერთა ჯგუფის დანარჩენი პარტიები ასე დასრულდა: პაველ ტეფლაკი (პოლონეთი) – შანთ სარგსიანი (სომხეთი) და ვიქტორ მატვიიშენი (უკრაინა) – ნოდირბეკ იაკუბოევი (უზბეკეთი) ყაიმზე შეთანხმდნენ, ლუის ენგელმა (გერმანია) ანდრეი ესიპენკოს (რუსეთი), ტორ ფრედრიკ კაასენმა (ნორვეგია) კი არტურ დავთიანს (სომხეთი) აჯობა. საპრიზო ადგილები შანთ სარგსიანმა (9 ქულა), ვიქტორ მატვიიშენმა (8.5) და ნიკოლოზ პეტრიაშვილმა (8) გაინაწილეს.

ლექსო ციწცაძე

◎ ინტერნეტიდან

ნიკოლეტას ფული უყვარს

მას შემდეგ, რაც ლონდონში მოღვაწე ბულგარელი მოდელი ნიკოლეტა ლოზანოვა თანამემამულე ფეხბურთელს ვალერი ბოჟინოვს გაშორდა, ყოფილ ცოლსაც და ქმარსაც საფიქრალი და სანერვიულო კიდევ უფრო მოემატათ, რადგან გაყრის შემდგომი სასამართლო პროცესები ძალიან გაიწელა და კაცმა არ იცის როდის დასრულდება.

გაყრის წინ ბედოვლათი ვალერი ბოჟინოვი თანახმა იყო, ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში მდებარე თავისი სამსართულიანი სახლი ყოფილი მეუღლისთვის დაეთმო – ამით დავაც დასრულებულიყო და ნიკოლეტასაც თავისუფლად ეკეთებინა ის საქმე, რაც ყველაზე კარგად გამოსდის, მაგრამ შემდეგ ყველაფერი შეიცვალა.

რთული სათქმელია, რა მოხდა – ლოზანოვას ქალს მადა გაეხსნა თუ ადვოკატმა წააქეზა, მაგრამ ფაქტია, რომ იგი მხოლოდ ფეშენებელურ სახლს არ დასჯერდა და თვალი ვალერი ბოჟინოვის წვითა და დაგვით ნაშოვნ ფულსაც დაადგა – აქაოდა, ეგ ფული ჩვენი თანაცხოვრების დროს დააგროვეო.

ერთი ისაა, რომ ნიკოლეტას იმდენი პლასტიკური ოპერაცია აქვს გაკეთებული და მომავალში კიდევ გასაკეთებელი, ვალერი ბოჟინოვის კი არა, შეიძლება კრიშტიანუ რონალდუს დანაზოგიც არ ეყოს...

ვიტალი ჯაფარიძე

◎ წყალბურთი

„იმედის“ იმედიანი მომავალი

მეოთხედ საუკუნეზე მეტია, წყალბურთის მწვრთნელად მუშაობს. ბავშვობისას ბორის მარგიევმა შეაყვარა სპორტის ეს სახეობა და დღემდე ვერ ელევა: ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლისას დათო ყარანგოზიშვილსა და ვაჟა ჩერტკოევთან იმაღლებდა ოსტატობას, ამჟამად კი თავად ეხმარება ახალგაზრდა წყალბურთელებს მწვერვალებისკენ გზის გაკვალვაში...

დავით ხავთასზე მოგახსენებთ – კეთილ, გულისხმიერ პიროვნებასა და

პროფესიაზე უსაზღვროდ შეყვარებულ ადამიანზე, რომელმაც არ იცის, რა არის დაღლა და საქმის ღალატი; რომელსაც სხვისი ტკივილი სტკივა და სხვისი სიხარულით ხარობს; ჯანსაღ თაობას უზრდის ქვეყანას. ბოლო ათი წელიწადია, ააიპ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსურ სასპორტო ცენტრში მუშაობს წყალბურთის კლუბ „იმედის“ მწვრთნელად.

– მადლობელი ვარ იმ ადამიანების, რომლებმაც პატარაობიდანვე მაზიარეს ცურვის ხელოვნებას, – გვითხრა ბატონმა დავითმა. – თითოეული ჩვენგანისთვის აუცილებელია ცხოვრების ჯანსაღი წესი. რაოდენ სავალალოა, რომ ქართველი მოზარდების უდიდესმა ნაწილმა ცურვა არ იცის. ეს ქვეყნისთვის კატასტროფის ტოლფასია. ბედნიერი ვარ იმით, რომ ბავშვებს ცურვას ვასწავლი, ამასთანავე, 2005-2006 წლებში დაბადებულ ბიჭებს წყალბურთში ვავარჯიშებ. ცენტრის ხელმძღვანელობა, აუზის დირექცია ყოველმხრივ გვიჭერს მხარს, რომ კონკურენტუნარიანი გუნდი მოვამზადოთ და საამისოდ ძალ-ღონეს არ ვიშურებთ. პირველი გამონათება უკვე გვაქვს – შარშან თანატოლთა საქართველოს პირველობაზე „იმედი“ პერსპექტიულ გუნდად დაასახელეს. ნოემბერში 2018-2019 წლების ჩემპიონატი დაიწყება და ჩვენც ამ შეჯიბრებისთვის ინტენსიურად ვემზადებით. ვეცდებით, ქომაგები გავახაროთ.

ლაშა დიდია

◎ პროექტი

ვაშა მატებას!

აზიის საფეხბურთო კონფედერაციის კონგრესზე ფიფას პრეზიდენტმა ჯანი ინფანტინომ მომავალ – 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გუნდების 32-დან 48-მდე გაზრდა არ გამორიცხა.

„მუნდიალზე მონაწილეთა რაოდენობის 32-დან 48-მდე გაზრდა გადავწყვიტეთ და ეს 2026 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მოხდება, თუმცა, გამორიცხული არ არის, მატება უკვე მომავალ, ყატარულ მსოფლიო თასზეც მოხდეს, – გადმოგვცემს ინფანტინოს ნაუბარს Reuters, – ახლა ასეთ წინადადებას განვიხილავთ ჩვენს ყატარელ და რეგიონის სხვა მეგობრებთან ერთად. ვიმედოვნებთ, ყველაფერი წარმატებით დაგვირგვინდება“. ყატარში მსოფლიო ჩემპიონატი 2022 წლის 21 ნოემბრიდან 18 დეკემბრის ჩათვლით ჩატარდება.

გიორგი შოთაძე

◎ არასპორტული დანაშაულის კვალდაკვალ

ნლეულს ფეხბურთი მათთვის „დამთავრდა“. რა იქნება მომავალში?

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში უკვე ვწერდით მოსკოვის წინასწარი დაკავების იზოლატორში რუსეთის საფეხბურთო ნაკრების ორი წევრის – სანკტ-პეტერბურგის „ზენიტის“ ნახევარმცველის ალექსანდრე კოკორინისა და კლუბ „კრასნოდარის“ მოთამაშის პავლე მამაევის ყოფა-ცხოვრების შესახებ.

სიმართლე გითხრათ, ამ დიდად გახმაურებული საქმის დასასრული ჯერაც საკმაოდ ბუნდოვანია, რადგან მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის რეზონანსულობის მიუხედავად, როგორც ჩანს, რუსეთის ნაკრებისა და მასთან ერთად, კლუბების ხელმძღვანელობაც დიდად დაინტერესებულია ფეხბურთელების პირობითად დასჯით, რაც მათ აქტიურ ფეხბურთში დაბრუნების შესაძლებლობას მისცემს. ამიტომაც, ბევრნი გაკვირვებულნი კითხულობენ, თუ რატომ მიუსაჯეს სპორტსმენებს თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ 8 დეკემბრამდე, როცა სისხლის სამართლის ერთი საქმით მიყენებული მუხლით („ცემა“) მათ ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ, ხოლო მეორეთი („ხულიგნობა“) – შვიდ წლამდე.

ამასთან დაკავშირებით, სამართალდამცველები განმარტავენ, რომ ესაა მხოლოდ გამოძიების ვადით წინასწარი პატიმრობა, რომელიც ამ ვადაში თუ არ დასრულდება, სასამართლო მას კიდევ ორი თვით გაგრძელებს. ამდენად, იურისტების პროგნოზით, სასამართლო განაჩენზე საქმე, შესაძლოა, 2019 წლის გაზაფხულზე დადგეს.

არადა, „ზენიტი“ და „კრასნოდარი“ თავიანთ ბოლო შეხვედრებს რუსეთის ჩემპიონატში 9 დეკემბერს გამართავენ, 13 დეკემბერს კი ორივე გუნდს ევროპის ლიგის ტურნირის ფარგლებში უწევთ თამაშები, მაგრამ ამ მატჩებში ა. კოკორინი და პ. მამაევი, ცხადია, მონაწილეობას ვერ მიიღებენ. მით უმეტეს, რომ მამაევმა თავისი საზღვარგარეთული პასპორტი გამომძიებლებს ჩააბარა და ხელიც რომ შეუწყონ, ესპანეთის „სევილიასთან“ შეხვედრაში მონაწილეობას მაინც ვერ მიიღებს.

თუკი თეორიულ ვარიანტებს მივყვებით, მწვანე მინდორზე გამოსვლას ალექსანდრე კოკორინი და პავლე მამაევი მხოლოდ ადრეულ გაზაფხულზე თუ შეძლებენ. თუმცა, საფეხბურთო კლუბი „კრასნოდარი“ თავის ნახევარმცველ მამაევთან დამშვიდობებას აპირებს, „ზენიტი“ კი, ალექსანდრე კოკორინის გაშვებას, ჯერჯერობით მაინც არ ჩქარობს.

დაპატიმრებულ ფეხბურთელთა ქომაგები იმედოვნებენ, რომ სასამართლოში მათი საქმე შეიძლება გაცილებით ადრე მოხვდეს – ყველაფერი თავად ფეხბურთელებზეა დამოკიდებული. ამჟამად ორივე სპორტსმენი თავიანთი საქმის გადაკვალიფიცირებას მოითხოვს. მათ ინტერესებშია ეპიზოდი ყავახანაში, სადაც ა. კოკორინმა სახელმწიფო მოხელე დენის პაკშის თავში სკამი ჩაარტყა, არა ხულიგნობად, არამედ ცემად მიიჩნიონ, რაც უფრო ნაკლებ სასჯელს ითვალისწინებს. ამიტომაცაა, რომ თავის დანაშაულს ფეხბურთელები მხოლოდ ნაწილობრივ აღიარებენ: ისინი აცხადებენ – დიახ, ხალხს კი ვურტყამდით, მაგრამ... საზოგადოებრივი წესრიგი არ დაგვირღვევიაო. იმ შემთხვევაში, თუკი ერთიც და მეორეც თავის დანაშაულს სრულად აღიარებს, გამოძიებას არაფრის დამტკიცება, სასამართლოს კი დეტალებში გარკვევა აღარ მოუწევს. ასეთ საქმეებს ძალიან სწრაფად განიხილავენ ხოლმე. თანაც ამ დროს სასჯელის მაქსიმალური ზღვრები მნიშვნელოვნად იკლებს, თუმცა კი, ადვოკატ ნატალია შატიხინას თქმით, ამის შესახებ ამჟამად ფიქრიც არ ღირს.

ამიტომაც, ახლა ფეხბურთელების წინაშე დილემაა: სცადონ ბრალდების გადაკვალიფიცირება და მანამდე იზოლატორში ისხდნენ თუ ასე ვთქვათ, „ბ“ ვარიანტზე გადავიდნენ, მაგრამ ამით პატიმრობის რეალური ვადა სავსებით რეალურად წარმოჩინდეს?!

ნინო ალექსანდრია

მეგობრის ხსოვნას

ღვაწლმოსილი და პატივგებული

ქართულმა ენერგეტიკამ კიდევ ერთი ღვაწლმოსილი ენერგეტიკოსი მოისაკლისა – ბატონი ზერო აბაშმაძე



ბატონი ზერო აბაშმაძე დაიბადა ქ. ოზურგეთში 1932 წლის 10 ნოემბერს. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტი.

1955-2000 წწ. უწყვეტად მუშაობდა „საქმთავენერგოში“, სადაც წარმატებით განვლო თითქმის ყველა საფეხური რიგითი ინჟინრობიდან „საქმთავარენერგოს“ უფროსის პირველ მოადგილის თანამდებობამდე. ბატონი ზერო ხელმძღვანელობდა საქართველოს სოფლების, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის კომპლექსების, ჩაის პლანტაციების და მაღალმთიანი სოფლების ელექტრიფიკაციას, ასევე ხევსურეთში მიკრო ელექტრისადგურების მშენებლობებს.

მისი უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელდა აჭარიდან და სვანეთიდან სტიქიის შედეგად გადასახლებულთა დასახლებების ელექტრიფიკაცია. აღსანიშნავია აგრეთვე კავკასიონის ქედზე 500კმ ელექტროგადამცემი ხაზის ახალ ტრასაზე გადატანისთვის ჩატარებული სამუშაოების ბრწყინვალე შესრულება. აფხაზეთის კონფლიქტისას, კოდორის ხეობის სოფლების ელექტრიფიკაციის მიზნით ორგანიზება გაუკეთა 10 მიკრო ელექტროსადგურის პროექტირებას და გაშვებას. ხელმძღვანელობდა აგრეთვე იმ ძნელბედობის ჟამს, სოხუმის და მასთან მიმდებარე რაიონებისა და სოფლების ელექტრიფიკაციას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბატონ ზეროს ქველმოქმედება. მან აფხაზეთიდან დევნილთა დახმარების ფონდში შეიტანა ქორწინების ოქროს ბეჭედი და სკოლის წარჩინებით დამთავრებისას მიღებული ოქროს მედალი. ხოლო 2005 წელს სტიქიის შედეგად უბინაოდ დარჩენილთა დასახმარებლად სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადასცა ოზურგეთში კუთვნილი ორსართულიანი მამისეული სახლი.

ბატონი ზეროს მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული ენერგეტიკოსის, საქართველოს ელექტროენერგეტიკის დამსახურებული მუშაკის და საქართველოს დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდებები, იგი იყო საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის წევრი-აკადემიკოსი, დაჯილდოებულია ხალხთა შორის მეგობრობის ორდენით.

თქვენი მეგობრები და ახლობლები უდიდესი გულისტკივილით გემშვიდობებიან ბატონო ზერო.

საქართველოს ენერგეტიკის აკადემია;

საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი;

საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფკავშირი;

საქართველოს ელექტროსისტემის პირველადი პროფორგანიზაცია.

სანთელი

ჩვენი მარად დაუვიწყარი ზურაბ საქალია

1 ნოემბერი შენი დაბადების დღეა, 61 წლის გახდებოდი, პირველად ვხვდებით მას უშენოდ, ჩვენო სანატრელო და საყვარელო ძმაო, ზურაბ!

ძნელია შინაგან საქმეთა ორგანოებში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ორ ათეულ წელზე მეტი იმუშაო და ხალხში ისეთი სიყვარული და პატივისცემა დატოვო, როგორიც შენ დატოვე. მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა, ქვეყნის, ოჯახისა და მეგობრების წინაშე ვალმოხდილი წახვედი. გვიჭირს იმ აზრთან შეგუება, რომ ჩვენს შორის აღარასოდეს იქნები.

ჩვენო ზურა, შენი ნათელი სახე, შენი ღიმილი არ ამოვა ჩვენი მეხსიერებიდან.

ნათელში იყოს შენი სპეტაკი სული!

თენგიზ ქავთარაძე, ზაურ ფხალაძე

სანთელი

საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი მწუხარებას გამოთქვამს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირის წევრის, ბატონი

თენგიზ თულაშვილის

გარდაცვალების გამო.
უსამძიმრებს მის ოჯახს, ახლობლებს და კოლეგებს.

ხსოვნა

მეუღლე მარინა ჩინჩალაძე, შვილები ნიკოლოზ, გიორგი გეგუჩაძეები, რძლები ნინო ემუხვარი, თინათინ ჭარბაძე, შვილიშვილები მარიამ, ანდრია, ალექსანდრე, ევგენია, ანა, ელისაბედ, ეკატერინე გეგუჩაძეები მწუხარებით იუწყებიან დამსახურებული პედაგოგის

ომარ გეგუჩაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება: 3 XI, ვერის ბაღის ლურჯი მონასტრიდან, 14 საათზე; პანაშვიდი 17 საათიდან.

მისამართი: საექიმო შესახვევი №2, მე-3 სადარბაზო, მე-4 სართული, ბ. 53, ისნის რ-ნის გამგეობასთან.

◎ ციფრების ენით

რეკორდსმენი ქართველი ფეხბურთელები

ფეხბურთი გატანილი ბურთის გარეშე ბევრ შემთხვევაში უღიმღამო და უინტერესოა. გატანილი გოლი აღაფრთოვანებს სტადიონზე შეკრებილ გულშემატკივრებს, არანაკლები გრძნობა ეუფლებათ გატანილი ბურთების ავტორებს. ხუთი გოლის გატანა ერთ მატჩში იშვიათი მოვლენა გახლავთ, სასიამოვნოა, როცა ასეთ რეკორდსმენ ფეხბურთელებს შორის ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ისტორიაში სამი ქართველი ფეხბურთელის გვარი ფიგურირებს, ეს კი თავისთავად მოწმობს ქართული ფეხბურთის დიდ და სახელოვან ტრადიციებზე.

1966 წლის 22 სექტემბერს ერთი რიგითი კალენდარული შეხვედრა ჩატარდა: თბილისის „დინამომ“ ერევნის „არარატს“ უმასპინძლა და გამანადგურებელი ანგარიშით – 5:0 დაამარცხა მეტოქე, საგულისხმო ამ მატჩში კი ის გახლდათ, რომ მეორე ტაიმში თბილისელთა ფორვარდი ილია დათუნაშვილი ხუთივე ბურთის ავტორი გახდა, რომელმაც ლენინგრადელი ფეხბურთელის ევგენი შელაგინის 28 წლის წინანდელი რეკორდი გაიმეორა, რომელმაც შორეულ 1938 წელს კალენდარულ შეხვედრაში 5 ბურთი გაუტანა მეტოქეს, ილია დათუნაშვილის ხუთ გატანილ ბურთს დიდი გამოხმაურება მოჰყვა სომხეთში, სადაც ათასნაირი მითი თუ რეალობა არსებობს დათუნაშვილის გატანილ ბურთებზე. ერთნი ამბობდნენ, თითქოს მისი სურათი სასროლ ტირში იყო ჩამოკიდებული, მეორენი თითქოს ძილის წინ პატარა ბავშვს აშინებდნენ, თუ არ დაიძინებ, დათუნაშვილი მოვაო, მე კი ჩემი თვალით დანახულს მოგახსენებთ: ქალაქში, სადაც ვცხოვრობ, სარკინიგზო მიმოსვლა ჩვეულებრივი ამბავია და სატვირთო მატარებლის ეშელონს, რომელსაც ტვირთი გადაჰ ქონდა სომხეთში, ვაგონებზე დიდი ასოებით ეწერა რუსულ ენაზე: „ილია დათუნაშვილი – ერევნის „არარატი“ 5:0. დღეს ილია დათუნაშვილი – „ოქროს ბიჭების“ – თაობის ღირსეული წარმომადგენელი მხნედ გამოიყურება, მას 1 სექტემბერს 81 წელი შეუსრულდა.

ქართველი ფეხბურთელები ამ წარმატებაზე არ გაჩერებულან, 1967 წლის 12 აპრილს თბილისის „დინამომ“ კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“ 7:2 დაამარცხა და 5 გატანილი ბურთით თავი გოჩა გავაშელმა გამოიჩინა. გოჩა გავაშელი აფხაზეთის ფეხბურთის წარმომადგენელი იყო და მისი ბოლო სამსახურებრივი ადგილი გაგრის პოლიციის უფროსის თანამდებობა გახლდათ. დღეს მასზე არანაირი ინფორმაცია არ მოგვეპოვება. რადგან აფხაზეთის თემას შევეხეთ, მოგახსენებთ, რომ თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდის შემადგენლობაში თამაშობდა აფხაზეთის მკვიდრი იური ძიძიგური, რომელიც მშობლიური გაგრის მისადგომებთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპა. ნათელი მის ხსოვნას.

კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელის ვარლამ კილასონიას რეკორდს გვერდს ვერანაირად ვერ აუვლი. მან რუსეთის პირველ ლიგაში მოთამაშე ლენინგრადის ,,დინამოს“ შემადგენლობაში ერთ-ერთ კალენდარულ მატჩში ლენინსკ-კუზნეცკის „ზარიას“ წინააღმდეგ 9:0 მოგებულ მატჩში 7 ბურთი გაიტანა.

მიკერძოებაში რომ არ დაგვდონ ბრალი, გავიხსენებ ორი რუსი ეროვნების ფეხბურთელის მიერ დამყარებულ რეკორდებს: ოლეგ სალენკომ საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე კამერუნის ნაკრების კარში 5 ბურთი გაიტანა, იმავე წელს მოსკოვის ცსკა-ს ფეხბურთელმა ვალერი მასალიტინმა კი ასევე 5 გოლი გაუტანა როსტოველ თანაკლუბელებს.

ამ ფაქტებიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი არის გასული, მაგრამ იგი მაინც სასიამოვნო სასაუბრო თემა გახლავთ სტაჟიანი ქართველი გულშემატკივრებისათვის.

ბეჟან ჩხეიძე,
ფესტაფონიდან.

ლილოში მანქანების შეჯახებისას 8 ადამიანი დაშავდა

თბილისში, ლილოში ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. არსებული ინფორმაციით, ერთმანეთს ოთხი სატრანსპორტო საშუალება, მათ შორის ორი მიკროავტობუსი შეეჯახა. შემთხვევის შედეგად 8 ადამიანი დაშავდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით მიმდინაროებს გამოძიება.

ცოლის ცემაში ბრალდებულს 6 თვით პატიმრობა შეეფარდა

ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და მეუღლის მიმართ განხორციელებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისთვის ბრალდებული გ.კ. დამნაშავედ ცნო. სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ გ.კ. ერთი თვის მანძილზე სისტემატური შეურაცხყოფის გზით ფსიქოლოგიურად ძალადობდა მეუღლეზე თ.კ.-ზე, ხოლო 2018 წლის 19 აგვისტოს, გ.კ.-მ პირადი უთანხმოების ნიადაგზე, დაზარალებულს კეფის არეში მუშტი, ხოლო ხელის არეში საფერფლე დაარტყა. „სამართალდამცველებმა გ.კ. იმავე დღეს დააკავეს. ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ გ.კ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა“, – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

1970 წლის შემდეგ ადამიანის ხელით ფაუნის 60 პროცენტი განადგურდა

1970 წლის შემდეგ ადამიანის ხელით, საერთაშორისო მასშტაბით, ფაუნის 60 პროცენტი განადგურდა. საგანგაშო ანგარიშს „ბუნების მსოფლიო ფონდი“ ავრცელებს.

საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, 1970 წლიდან 2014 წლამდე ადამიანის საჭიროებებიდან გამომდინარე ველური ბუნების წარმომადგენლების მასობრივი განადგურება განხორციელდა. მათ შორის მოხვდნენ ძუძუმწოვრები, თევზები, ჩიტები, ამფიბიები და რეპტილიები.

„ფაუნის წარმომადგენელთა მასობრივი განადგურების საფუძველზე დედამიწა ეტაპობრივად ბიომრავალფეროვნებას კარგავს“, — აღნიშნულია განცხადებაში.

ანგარიშითვე ცნობილი გახდა, რომ დღეს დედამიწის მხოლოდ მეოთხედი ნაწილია თავისუფალი ადამიანის ხელისგან. არსებული ტემპის შენარჩუნების შემთხვევაში აღნიშნული მაჩვენებელი 2050 წლისთვის მეათედს მიაღწევს.

საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, განსაკუთრებით რთული მდგომარეობა სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაშია, სადაც 1970 წლის შემდეგ ფაუნის წარმომადგენელთა მხოლოდ 11 პროცენტი გადარჩა. სერიოზული რისკის წინაშე იმყოფება წყალქვეშა სამყაროც. პოლიეთილენით დაბინძურებული მონაკვეთები ოკეანის ყველაზე ღრმა ადგილებშიც კი ფიქსირდება. მათ შორის მარიანას ღრმულის ტერიტორიაზეც. საგანგაშოა მდინარეებსა და ტბებში მცხოვრები თევზების სტატისტიკაც. 1970 წლის შემდეგ აღნიშნულ ადგილებში მცხოვრები თევზების 80 პროცენტი განადგურდა.

ანგარიშიდან გამომდინარე, „ბუნების მსოფლიო ფონდი“ საერთაშორისო საზოგადოებას ახალი, გლობალური შეთანხმების მიღწევისკენ მოუწოდებს, რომელიც ბუნებაზე ადამიანის ზემოქმედებას განსაზღვრავს.

„შესაბამის თანამდებობაზე მყოფებმა უნდა გააკეთონ სწორი პოლიტიკური და ფინანსური არჩევანი, რათა ჩვენს ერთადერთ პლანეტაზე ადამიანმა და ბუნებამ ჰარმონიულად ცხოვრება შეძლონ“, — აღნიშნულია ანგარიშში.

„ბუნების მსოფლიო ფონდის“ ანგარიშზე რამდენიმე წლის განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, 59 მეცნიერი მუშაობდა.

ფიქრთ გასართველად

სხვათაგან თქმული

* * *

რაც უფრო მეტ გამოცდილებას იძენ, გამოყენების მით უფრო ნაკლები შესაძლებლობა გაქვს.

* * *

ნეკნზე მარტო ეშმაკს კი არა, ღვიძლსაც შეუძლია მოკაკუნება.

* * *

რაც უფრო ბუნდოვანია პროგნოზი, მით უფრო მალე ხდება.

* * *

ყველაზე საშიში ის არის, როცა უკვე აღარაფერი არ გაშინებს.

* * *

ვინ მოთვლის, რამდენი კარგი ადამიანი ყოფილა სინდისისგან ქენჯნილი!

* * *

თუ კაცს მუდამ უძახე — „ღორი ხარ, ღორი ხარო“, ბოლოს და ბოლოს ღრუტუნს დაიწყებს.

* * *

რაც უფრო აზრიანია კაცი, მით უფრო ნაკლებ აზრს პოულობს უაზრო საქმეში.

* * *

უცნაური არსებაა ადამიანი... სამართლიანობას მაშინ ეძებს, როცა სინდისი დაკარგული აქვს.

* * *

პესიმისტებიც ცდებიან, ოღონდ ყოველთვის წარმატებულად.

* * *

ხან ვიღაც შენკენ იმიტომ მოდის, რომ გზაზე წინ უდგახარ.

* * *

გვირაგის ბოლოს სინათლე ჩანს? ალბათ, თხუნელები ასანთობანას თამაშობენ.

* * *

ზოგი საპატიო დაფაზე კიდია, ზოგიც იმ სტენდზე, რომელსაც აწერია — „პოლიცია ეძებს“.

ფილმი „ნამე“ იბრძოლებს

საქართველოდან ოსკარისა და ოქროს გლობუსის საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინაციისთვის

ცნობილი გახდა, თუ რომელი ქართული ფილმი იბრძოლებს ოსკარისა და ოქროს გლობუსის საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინაციისთვის. სპეციალურმა კომისიამ წელს არჩევანი ზაზა ხალვაშის ფილმზე „ნამე“ გააკეთა. რამდენიმე დღეში ქართული მხარე საქართველოს კანდიდატ ფილმს უცხოელ კოლეგებს წარუდგენს.

ოსკარისა და ოქროს გლობუსის კამპანიის ფარგლებში „ნამეს“ პირველი ოფიციალური ჩვენება ლოს ანჯელესში 7 ნოემბერს გაიმართება. დამატებით 2 ჩვენებას კი EFP (European Film Promotion) 11 და 15 ნოემბერს გაუწევს ორგანიზებას.

ჩვენებებს ამერიკის კინოაკადემიის წევრები, საერთაშორისო ბაიერები, კინოსფეროს წარმომადგენლები და ცნობილი უცხოური გამოცემების ჟურნალისტები დაესწრებიან. ფილმის წარსადგენად ლოს-ანჯელესში „ნამეს“ რეჟისორი ზაზა ხალვაში და ფილმში მთავარი როლის შემსრულებელი — მარისკა დიასამიძე გაემგზავრებიან.

ჩვენებების დასრულების შემდეგ, მაყურებელს მათთან გასაუბრების შესაძლებლობა ექნება. მაშინ, როდესაც ოსკარისა და ოქროს გლობუსის საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინაციისთვის ფილმები მსოფლიოს 80-ზე მეტი ქვეყნიდანაა წარდგენილი, დიდი მნიშვნელობა ენიჭება დამატებით ჩვენებებს, შეხვედრებს თუ პრეზენტაციებს, რაც კამპანიის ფარგლებშია დაგეგმილი.

„ნამე“ ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმია, რომლის მსოფლიო პრემიერა ტოკიოს ა-კლასის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა. ფილმი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთებში, ერთ პატარა, ტრადიციულ სოფელში მცხოვრები მოხუცი მამის, მისი ქალიშვილი ნამეს და სამი ვაჟის შესახებ მოგვითხრობს. ძმებიდან ერთი მასწავლებელია, მეორე — მოლა, ხოლო მესამე — მღვდელი. სოფელში მაჰმადიანები და მართლმადიდებლები ერთად ცხოვრობენ. სოფლის ერთ ბოლოში ეკლესია დგას, მეორე ბოლოში კი მეჩეთია.

ოქროს გლობუსის ნომინანტთა სია დეკემბერში, ხოლო ოსკარის — იანვარში გახდება ცნობილი.

გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ:

„ელვა სერვისი“
238-26-73; 577 99 16 51
238-26-14; 577 30 88 47

„მაცნე“
214-74-22; 599 982 777

„პლანეტა-ფორტე“
292 18 59; 579 79 99 08

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ რედაქციაშიც:
2-99-02-10;
599 797 679.

„ჯეომედია“
266-51-13;
593 209 526

გაზეთი შეგვიძლია მოგაწოდოთ ელექტრონულადაც, ელ.ფოსტის საშუალებით.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად იყიდე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7027; ევრო - 3.0703;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4473;
100 რუბლი - 3.9742; თურქული ლირა - 0.4894;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5945;
1000 სომხური დრამი - 5.5611.

ამინდი 1 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +3,	დღე +16
მთიანი რაიონები -	ღამე -1,	დღე +19
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +8,	დღე +27
მთიანი რაიონები -	ღამე +3,	დღე +26
თბილისი:	ღამე +8,	დღე +15

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge